Funded by European Union

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

INSTITUTE FOR DEMOCRACY AND JUSTICE

PENAL REFORM INTERNATIONAL

საპატიმრო და ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებებისა და სასჯელების გამოყენების სასამართლო პრაქტიკა საქართველოში (კვლევის ანგარიში)

თბილისი 2022

კვლევის ავტორი: ლადო ჯავახიშვილი, სამართლისა და საჯარო მმართველობის მაგისტრი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ექსპერტი, დემოკრატიისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტის დამფუძნებელი.

კვლევის ანგარიშის შემუშავების პროცესში დახმარებისათვის და აქტიური მონაწილეობისათვის მადლობას ვუხდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს გიორგი აბულაძეს.

Funded by European Union

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

INSTITUTE FOR DEMOCRACY AND JUSTICE

PENAL REFORM INTERNATIONAL

დოკუმენტი მომზადებულია დემოკრატიისა და მართლმსაჯულების ინტიტუტისა და ციხის საერთაშორისო რეფორმის ურთიერთანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „COVID-19-ის სოლიდარობის პროგრამა 2020-2022 PRIS-20-03“ ფარგლებში, რომელსაც ადმინისტრირებას უწევს „ნიდერლანდების ჰელსინკის კომიტეტი“.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და დონორის შეხედულებებს.

© საპატიმრო და ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პრაქტიკა საქართველოში.

ყველა უფლება დაცულია. კვლევის დაბეჭდვა და გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ციხის საერთაშორისო რეფორმის ან/და დემოკრატიისა და მართლმსაჯულების ინსტიტუტის წერილობითი თანხმობით.

www.idj.ge info@idj.ge

სარჩევი

შესავალი 4

კვლევის შესახებ 5

ძირითადი მიგნებები 8

კვლევის შედეგები 11

- აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და გამოწვევები 12
- არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და ძირითადად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების სახეები 12
- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები 15
- აღკვეთის ღონისძიებების სახეების გაფართოების საჭიროება; 27
- პანდემიის გავლენა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე; 32
- სასჯელების გამოყენების პრაქტიკა და გამოწვევები 33
- არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა და ძირითადად გამოყენებული სასჯელის სახეები; 34
- სასჯელების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები; 36
- სასჯელების აღსრულების პროცესის გავლენა სასჯელის დანიშვნაზე; 42
- არსებული საკანონდებლო გამოწვევები და სასჯელების სახეების გაფართოების საჭიროება. 46
- პანდემიის გავლენა სასჯელების გამოყენებაზე; 51
- არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებისა და არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოკვეთილი სხვა საკითხები 53

რეკომენდაციები 55

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო მუდმივად ისწრაფვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისაკენ და 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასაც მოაწერა ხელი. მას შემდეგ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამ პროცესში და ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სწორედ მართლმსაჯულებისა და სასჯელაღსრულების სისტემა წარმოადგენს. საქართველო ყოველდღიურად ცდილობს დაუახლოვდეს და როგორც კანონმდებლობის, ასევე პრაქტიკის ჰარმონიზაცია მოახდინოს ამ სფეროში დასავლურ სტანდარტებთან. უკანასკნელ პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა როგორც საერთაშორისო რეკომენდაციების საკანონმდებლო ჩანაწერებში ინტეგრაციის, ასევე საუკეთესო პრაქტიკის შესწავლისა და ქართულ რეალობაში დანერგვის კუთხით. თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც პენიტენციურ, ისე არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემაში არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა რჩება, რომელიც დაუყოვნებლივ პასუხსა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს.

სწორედ ამ გამოწვევების გამოვლენას ემსახურებოდა ქვემოთ მოყვანილი კვლევა სახელწოდებით „საპატიმრო და ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პრაქტიკა საქართველოში“, რომელიც დემოკრატიისა და მართლმსაჯულების ინტიტუტისა და ციხის საერთაშორისო რეფორმის ურთიერთანამშრომლობით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „COVID-19-ის სოლიდარობის პროგრამა 2020-2022 PRIS-20-03“ ფარგლებში განხორციელდა 2022 წელს. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 11 სიღრმისეული ინტერვიუ სხვადასხვა ინსტანციისა და რეგიონის მოსამართლეებთან.

თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემებში დღითიდღე იზრდება არასაპატიმრო სასჯელების, პირობითი მსჯავრის, განრიდების, აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სხვა ალტერნატივების როლი. ყოველწლიურად არაერთი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია მოუწოდებს მთავრობებს განსაკუთრებულ ყურადღება დაუთმონ ალტერნატიული სასჯელების სისტემის განვითარებას, განსაკუთრებით კი ეს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს ეხება. სადაც, მიუხედავად პოზიტიური ნაბიჯებისა, მაინც მაღალი რჩება პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებლები. ამ მიმართულებით გამონაკლისი არც საქართველოა, მით უფრო იმ ფონზე, რომ ევროპის საბჭოს 2021 წლის ანგარიშის[1] თანახმად, საერთო, საშუალო მაჩვენებლით მესამე ადგილზეა და მას მხოლოდ რუსეთი და თურქეთი უსწრებენ. განსაკუთრებით ამ დროს, აუცილებელია მთელი ქვეყნის

[1] Marcelo F. Aebi, Edoardo Cocco, Lorena Molnar & Mélanie M. Tiago, Annual Penal Statistics on Prison Populations (SPACE I), Council of Europe, 2021.

მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ალტერნატიულ არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებულ საკანონმდებლო, პოლიტიკისა და პრაქტიკის რეფორმებს მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მოტანილი, თუმცა მაინც რჩება გამოწვევები როგორც აღკვეთის ღონისძიებების, ისე სასჯელების გამოყენების ნაწილში, რაც ხელს უშლის ინდივიდუალურ შემთხვევებში მოსამართლემ გამოიყენოს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება თუ სასჯელი. გამოწვევები იკვეთება, როგორც საკანონმდებლო ჩანაწერების, ასევე პრაქტიკის კუთხითაც.

აღსანიშნავია, რომ კვლევა ეყრდნობა მოსამართლეთა გამოცდილებას და შეზღუდვებიდან გამომდინარე, არ მოიცავს მართლმსაჯულების მონაწილე სხვა მხარეების მიერ გამოკვეთილი გამოწვევებს.

ანგარიში მოიცავს ინფორმაციას, გამოყენებული მეთოდოლოგიის, შედეგების, ძირითადი მიგნებებისა და რეკომენდაციების შესახებ.

კვლევის შესახებ

<u>მიზანი</u>

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელებისა და აღკვეთის ღონისძიებების გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მქონე ძირითადი ფაქტორების, პანდემიის გავლენის, მოსამართლეთა დამოკიდებულებების შესწავლა, აგრეთვე, საკანონმდებლო და პრაქტიკის დონეზე არსებული ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებისა და სასჯელების უფრო ფართოდ გამოყენების მიზნით.

<u>საკვლევი საკითხები</u>

აღკვეთის ღონისძიებები	• როგორია აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა სასამრთლოს სისტემაში; • ძირითადად რა ტიპის აღკვეთის ღონისძიებები გამოიყენება მოსამართლეთა მხრიდან; • რა ძირითადი ფაქტორები გათვალისწინება მოსამართლის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესში; • სასამართლო პრაქტიკის ძირითადი გამოწვევები აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებაში; • ძირითადი გამოწვევები რაც ხელს უშლია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას; • აღკვეთის ღონისძიებების სახეების გაფართოების საჭიროება; • პანდემიის გავლენა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე;

სასჯელები	• როგორია არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა სასამართლოს სისტემაში; • ძირითადად რა ტიპის სასჯელების გამოიყენება მოსამართლეთა მხრიდან; • რა ძირითადი ფაქტორები გათვალისწინება მოსამართლის მიერ სასჯელის შეფარდების პროცესში; • სასამართლო პრაქტიკის ძირითადი გამოწვევები სასჯელებთან მიმართებაში; • ძირითადი გამოწვევები რაც ხელს უშლია არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას; • სასჯელის აღსრულების პროცესის გავლენა სასჯელის დანიშვნაზე; • სასჯელების სახეების გაფართოების საჭიროება; • მოსამართლეთა უფლებამოსილებისა და დისკრეციის გაფართოების საჭიროება სასჯელის დანიშვნის ეტაპზე; • სანქციების პროპორციულობის საკითხი; • პანდემიის გავლენა სასჯელების გამოყენებაზე;

<u>ინფორმაციის მოპოვების მეთოდი</u>

კვლევის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვების მეთოდად განისაზღვრა რესპოდენტებთან ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატი. პირველ ეტაპზე მომზადდა კითხვარი, ღია კითხვებით როგორც აღკვეთის ღონისძიებებთან, ასევე სასჯელებთან დაკავშირებით. ინტერვიუები ჩატარდა 2022 წლის ოქტომბერი-ნოემბრის პერიოდში და ხანგრძლივობა შეადგენდა 1-1.5 საათს თითოეული რესპოდენტის შემთხვევაში. თითოეულმა რესპოდენტმა განაცხადა ინფორმირებული, ნებაყოფლობითი თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. ინტერვიუების უმეტესობა შედგა დისტანციურ რეჟიმში და განხორციელდა ვიდეო-აუდიო ჩაწერა, ინტერვიუების ნაწილი ჩატარდა პირისპირ ფორმატში და მომზადდა აუდიო ჩაწერები.

<u>რესპოდენტთა შერჩევა</u>

კვლევის ფარგლებში, სულ გამოიკითხა 11 მოსამართლე.

განაწილება ინსტანციების მიხედვით:

- 9 პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე
- 2 სააპელაციო ინსტანციის მოსამართლე

განაწილება რეგიონების მიხედვით:

- თბილისის საქალაქო სასამრთლო - 5 რესპოდენტი
- რუსთავი საქალაქო სასამრთლო - 1 რესპოდენტი
- თეთრიწყაროს რაიონული სასამრთლო - 1 რესპოდენტი
- გორის რაიონული სასამრთლო - 1 რესპოდენტი
- ზუგდიდის რაიონული სასამრთლო - 1 რესპოდენტი
- თბილისის სააპელაციო სასამრთლო - 2 რესპოდენტი

განაწილება გამოცდილების მიხედვით:

- მინიმალური სამოსამართლო გამოცდილება - 5 წელი
- მაქსიმალური სამოსამართლო გამოცდილება - 17 წელი

ანალიზი

თვისებრივი მონაცემების ანალიზი განხორციელდა შეგროვებული მასალის აღწერის, ახსნისა და სისტემატიზაციის გზით. ანალიზის ფარგლებში, მოხდა კვლევის მიზანთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების გამოყოფა და რესპოდენტების ინტერპრეტაციის სისტემატიზაცია, ამ მიზნით გაკეთდა თვისებრივი მონაცემების დახარისხება შესაბამის თემატურ კატეგორიებად. გაკეთდა საკითხების ექსპერტული შეფასება და მომზადდა რეკომენდაციები.

კვლევის შეზღუდვა

საპატიმრო და ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა განხორციელდა მხოლოდ თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, რაც თავისთავად, ლიმიტირებულ შესაძლებლობებს იძლევა, როგორც სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების, ისე, ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის განზოგადების თვალსაზრისით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსიდან გამომდინარე, ინტერვიუები ჩატარდა მხოლოდ მოსამართლეებთან და არ ჩატარებულა მართლმსაჯულების პროცესის სხვა მონაწილეებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პირველადი შედეგების პრეზენტაციაზე მოწვეული იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ყველა მონაწილე სუბიექტის წარმომადგენელი და მათ საშუალება ჰქონდათ გაეჟღერებინათ და დაეფიქსირებინათ პოზიცია როგორც კვლევის პირველად მიგნებებთან, ასევე საკითხთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ თემებზე, რაც ასევე ასახული იქნა ქვემოთ მოცემულ ანგარიშში.

მიუხედავად კვლევის შეზღუდვებისა, მიღებული ინფორმაცია იძლევა შესაძლებლობას მოხდეს კვლევის შედეგების გამოყენება სამიზნე აუდიტორიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დეფიციტის შესავსებად, ზოგადი ტენდენციებისა განსასაზღვრად და სამომავლოდ კვლევითი ჰიპოთეზების ჩამოსაყალიბებლად

ეთიკური საკითხები

კვლევა განხორციელდა ეთიკური პრინციპების დაცვით, მათ შორის, მიღებული იქნა ინფორმირებული თანხმობა ყველა რესპოდენტისაგან, რა დროსაც, მონაწილეობამდე კვლევაში ჩართულ თითოეულ პირს მიეწოდა დეტალური ინფორმაცია შესწავლის მიზნების, ფორმატის, ხანგრძლივობისა და მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება/დაცვის თაობაზე, მონაწილეები გაეცნენ მათ უფლებას, უარი ეთქვათ მონაწილეობაზე ნებისმიერ დროს.

კვლევის პროცესში მკაცრად იყო დაცული კონფიდენციალობა და მონაწილეებთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის დაცვასა და კონფიდენციალურად შენახვასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა ყველა საჭირო ზომა. მონაწილეებს განემარტათ, რომ ადვილად იდენტიფიცირებადი მახასიათებლებიდან გამომდინარე მოპოვებული ინფორმაცია განზოგადოებული სახით იქნებოდა გამოყენებული. აუდიო ფაილები, ისევე

როგორც ჩანაწერები, ინახება ორგანიზაციაში ანგარიშის მომზადებიდან 1 თვის განმავლობაში, მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის.

ძირითადი მიგნებები

საპატიმრო და ალტერნატიული სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და არსებული გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით, კვლევის ფარგლებში ძირითად მიგნებებად გამოიკვეთა:

აღკვეთის ღონისძიებები:

- <u>აღკვეთის ღონისძიებების და დამატებითი ღონისძიებების გამოყენების განსხვავებული პრაქტიკა</u>
  როგორც აღკვეთის ღონისძიებების, ასევე დამატებითი ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა განსხვავებულია და ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავდება რეგიონების, ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოკიდებულებების, კანონმდებლობის განსხვავებული განმარტებებისა და სხვა შეხედულებების საფუძველზე. რაც შესაძლოა საბოლოოდ ხელს უწყობდეს მთლიანობაში განსხვავებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მას ნაკლებად განჭვრეტადს ხდიდეს.

- <u>ძირითადად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები</u>
  ცალსახად იკვეთება, რომ სხვადასხვა ფაქტორების გამო პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება მხოლოდ ორი სახის აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა და გირაო. რაც შესაძლებელია შეფასდეს როგორც საკანონმდებლო ისე პრაქტიკულ დონეზე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევად და საჭიროებს დამატებით როგორც კვლევას, ასევე პრაქტიკის გაუმჯობესების გზების დასახვას, რადგანაც მხოლოდ ამ ორი ალტერნატივის არსებობა მრავალმხრივ რისკებს შეიცავს როგორც უფლებრივი,

ასევე სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის დამკვიდრების კუთხით და მთლიანობაში თავისუფლების უფლების დარღვევასთან მიმართებაში.

- <u>კვლევის შედეგად, იკვეთება, რომ ძირითადი ფაქტორები რომელიც გავლენას ახდენს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკაზე შემდეგნაირია:</u>
    - კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული ფაქტორები (სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები)
    - სავარაუდო ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებული ფაქტორები
    - სავარაუდო დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტორები
    - სხვა ფაქტორები

- <u>არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები</u>
  არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ხელშემშლელ ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს, შემდეგი ფაქტორები:
    - საკანონმდებლო შეზღუდვები, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დისკრეციას;
    - სავარაუდოდ ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებული მაღალი რისკები;
    - ბრალდებულის პიროვნებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და რისკები;
    - აღკვეთის ღონისძიებების სახეების სიმწირე;
    - აღკვეთის ღონისძიებების და დამატებითი ღონისძიებების პრაქტიკაში აღსრულების სირთულეები;

- <u>არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემცირებისათვის საჭიროა:</u>
    - გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ჩანაწერები;
    - შემცირდეს და მოიხსნას შეზღუდვები არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან მიმართებაში;
    - გაიზარდოს მოსამართლის დისკრეცია;
    - გაფართოვდეს აღკვეთის ღონისძიების სახეები;
    - მოსამართლეს მიეცეს საშუალება გამოიყენოს დამატებითი ღონისძიებები და შეზღუდვები, როგორც ძირითადი აღკვეთის ღონისძიება;

- <u>აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად არ იკვეთება პანდემიის არსებითი გავლენა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკაზე.</u>

არასაპატიმრო სასჯელები:

- <u>სასჯელების გამოყენების განსხვავებული პრაქტიკა</u>
  როგორც სასჯელების, ასევე სასჯელებთან ერთად დამატებითი ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა განსხვავებულია და ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავდება

რეგიონების, ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოკიდებულებების, კანონმდებლობის განსხვავებული განმარტებებისა და სხვა შეხედულებების საფუძველზე. რაც შესაძლოა საბოლოოდ ხელს უწყობდეს მთლიანობაში განსხვავებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას და მას ნაკლებად განჭვრეტადს ხდიდეს.

- <u>ძირითადად გამოყენებული სასჯელები</u>
  ცალსახად იკვეთება, რომ სხვადასხვა ფაქტორების გამო პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება სამი სახის სასჯელი - პირობითი მსჯავრი, თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა, ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და შინაპატიმრობა. რაც შესაძლებელია შეფასდეს როგორც საკანონმდებლო ისე პრაქტიკულ დონეზე გამოწვევად და საჭიროებს დამატებით როგორც კვლევას, ასევე პრაქტიკის გაუმჯობესების გზების დასახვას, რადგანაც პრაქტიკაში მხოლოდ ამ ალტერნატივების არსებობა მრავალმხრივ რისკებს შეიცავს.

- <u>კვლევის შედეგად, იკვეთება, რომ ძირითადი ფაქტორები რომელიც გავლენას ახდენს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკაზე შემდეგნაირია:</u>
  - კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული ფაქტორები;
  - ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებული ფაქტორები;
  - მსჯავრდებულის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტორები;
  - სხვა ფაქტორები .

- <u>არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები</u>
  არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს, შემდეგი ფაქტორები:
  - საკანონმდებლო შეზღუდვები, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დისკრეციას;
  - მსჯავრდებულის პიროვნებასთან დაკავშირებული შეზღუდვები და რისკები;
  - სასჯელების აღსრულების პროცესის პრაქტიკული ნაწილი;
  - სასჯელების სახეების სიმწირე;
  - სანქციების პროპორციულობა და ურთიერთმიმართება;

- <u>არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საპატიმრო სასჯელების გამოყენების შემცირებისათვის საჭიროა:</u>
  - გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ჩანაწერები;
  - შემცირდეს და მოიხსნას შეზღუდვები არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებასთან მიმართებაში;
  - გაიზარდოს მოსამართლის დისკრეცია სასჯელების გამოყენებასთან მიმართებაში;
  - გაფართოვდეს სასჯელების სახეები;
  - გაუმჯობესდეს სასჯელის აღსრულების სისტემასა და სასამართლო სისტემას შორის კოორდინაცია;

- <u>აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგად არ იკვეთება პანდემიის არსებითი გავლენა არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკაზე.</u>

ზოგადი საკითხები:

კვლევის პროცესში როგორც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოიკვეთა ისეთი საჭიროებები, როგორიცაა:

- მოსამართლეთა ერთიანი სადისკუსიო პლატფორმის საჭიროება, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და გაუმჯობესების მიზნით;
- მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფების საჭიროება, პროფესიათა შორის მოსაზრებებისა და პოზიციების ურთიერთგაცვლისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით;
- მოსამართლეთა ინფორმირების საჭიროება კრიმინოლოგიური და სხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის, არსებული პოლიტიკის, სფეროში არსებული სიახლეებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ;
- საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობების საჭიროება.

კვლევის შედეგები

ეს თავი მოიცავს მოსამართლეებთან სიღრმისეული პირისპირ ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას, როგორც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკისა და გამოწვევების შესახებ, ისე, არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, პრაქტიკაზე და გამოწვევებზე.

კვლევის ფარგლებში, აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებაში გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები - აღკვეთის ღონისძიებების და დამატებითი ღონისძიებების გამოყენების განსხვავებული პრაქტიკა; ძირითადად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების სახეები; ძირითადი ფაქტორები რომელიც გავლენას ახდენს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკაზე; არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები; პანდემიის გავლენა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკაზე და გამოწვევებზე საპასუხო გზები. ხოლო არასაპატიმრო სასჯელების ნაწილში კი ისეთი საკითხები, როგორიცაა - სასჯელების გამოყენების განსხვავებული პრაქტიკა; ძირითადად გამოყენებული სასჯელების სახეები; ძირითადი ფაქტორები რომელიც გავლენას ახდენს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკაზე; არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებასთან

დაკავშირებული ძირითადი ხელშემშლელი ფაქტორები; არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებისა და საპატიმრო სასჯელების გამოყენების შემცირების გზები; პანდემიის გავლენა არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკაზე.

ამასთანავე, ამავე თავშია მოცემული ინფორმაცია კვლევის პროცესში გამოკვეთილი ისეთი საკითხების შესახებ, რომელიც როგორც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოიკვეთა.

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და გამოწვევები

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი საკვანძო საკითხები და გამოწვევები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არასაპატიმრო აღკვეთის გამოყენების პრაქტიკაზე, რაც პირდაპირ აისახება ბრალდებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე. ამ თავში ანალიზისას გამოკვეთილი ფაქტორები და გამოწვევები აღწერილი და პირობითად დალაგებულია შემდეგ ძირითად თემატურ მიმართულებებად: არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და ძირითადად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების სახეები; აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები; აღკვეთის ღონისძიებების სახეების გაფართოების საჭიროება; პანდემიის გავლენა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე;

არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა და ძირითადად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების სახეები

ინტერვიუების შედეგად იკვეთება, რომ ყველა მოსამართლეს, ვისთანაც ინტერვიუ ჩატარდა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხზე, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში აქვს როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა. ზოგიერთი მათგანს ამ საკითხზე მიღებული აქვს გადაწყვეტილება პირველი წარდგენის სხდომაზე, ხოლო ზოგიერთ მათგანს გადასინჯვის ფარგლებში. ამასთანავე არაერთ მოსამართლეს აქვს ასევე ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების პრაქტიკაც. იკვეთება, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულების შემთხვევაში, უფრო ხშირია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახეებს, იკვეთება, რომ ძირითადად გამოიყენება ორი სახე - პატიმრობა და გირაო, სხვა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა შედარებით მწირია, რასაც რესპოდენტები სხვადასხვა ფაქტორით ხსნიან, ამ ფაქტორთაგან ერთ-ერთი კი რეალურად მოქმედი ალტერნატიული ღონისძიებების ნაკლებობაა.

> “ ***მოსამართლე:*** *„დიახ, ბოლო 6 თვის განმავლობაში გამოყენებული მაქვს როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება.*
> *სამწუხაროდ პატიმრობის გარდა აღკვეთის ღონისძიებები რომლებიც პრაქტიკულად მუშაობს არის ძალიან მწირი. პრაქტიკულად რჩება გირაო. ბოლო 6 თვეში და პრაქტიკაშიც, ალტერნატიული ღონისძიების სახით, ძირითადად ვიყენებთ გირაოს.“*

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ არასრულწლოვან ბრალდებულთა შემთხვევაში შესაძლოა ზრდასრული პირებისაგან განსხვავებით უფრო აქტიურად გამოიყენებოდეს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები და სავარაუდოა, რომ გადასინჯვის პირობებშიც უფრო მეტი შემთხვევა იყოს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების, არასაპატიმრო ღონისძიებით შეცვლის. აგრეთვე იკვეთება, რომ არასრულწლოვანთა შემთხვევაში პრაქტიკაში ასევე გამოიყენება ისეთი აღკვეთის ღონისძიება - როგორიცაა *მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა, ხოლო გირაო უფრო ნაკლებად გამოიყენება ვიდრე ზრდასრული პირების შემთხვევაში.*

> “ ***მოსამართლე:*** *„ხშირი შემთხვევაა, როდესაც არასრულწლოვნის საქმე შემოდის როგორც საპატიმრო საქმე და პირველ არსებით სხდომაზე როდესაც ვახდენ გადასინჯვას, მქონია შემთხვევა, რომ არ არის საჭირო ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და შემიცვლია ნაკლებად მკაცრით.*
> *გამომიყენებია გირაოც, მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემაც, თუკი ამის შესაძლებლობას იძლევა მოცემულობა, რადგან მშობლის თანხმობაც ჭირდება, ბავშვის თანხმობაც ჭირდება და ყოველთვის არ არის შესაძლებელი. შეიძლება მე სურვილი მქონდეს, მაგრამ არ მქონდეს ეს მოცემულობა.“*

ერთ-ერთი მოსამართლის შემთხვევაში გამოიკვეთა ზოგადად დანერგილი პრაქტიკისაგან განსხვავებული მიდგომაც აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან მიმართებაში. ამ მოსამართლემ ინტერვიუს ფარგლებში მიუთითა, რომ მისი მიდგომები განსხვავებულია და ამის მიზეზი არის შეხედულება პატიმრობასთან, მხარეთა რესურსების უთანასწორობასთან და რისკების შეფასებასთან მიმართებაში. ამავე ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებულობა და მოთხოვნის მიზანშეწონილობის საკითხი პროკურატურის მხრიდან.

> “ ***მოსამართლე:*** *„რა თქმა უნდა გამომიყენებია ბოლო 6 თვეში არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები. სიმართლე რომ გითხრათ, ჩემი დამოკიდებულება აღკვეთი ღონისძიებებთან დაკავშირებით არის ცოტა არასტანდარტული, ვიდრე სასამართლოს პრაქტიკა ზოგადად, რადგან ეს არის ეტაპი, როდესაც გარკვეული ინფორმაცია იკვეთება დანაშაულთან დაკავშირებით და რა დადასტურდება ან არა, დამოკიდებულია ბევრ ფაქტორთან - დროზე, ადამიანებზე და ა.შ.*
> *როდესაც ადამიანის წინააღმდეგ არის მთელი სახელმწიფო თავისი რესურსებით და მექანიზმებით, მე ვფიქრობ, აღკვეთი ღონისძიების პროკურორის მიერ ყველა საქმეზე მოთხოვნა სწორი არ არის, რადგან პრაქტიკა აჩვენებს, რომ პროკურატურას შეუძლია რამდენიმე წლის წინანდელ საქმეზე მოითხოვოს აღკვეთის ღონისძიება ისეთივე წარმატებით, როგორსაც ამას აკეთებს ახლახან მომხდარ დანაშაულზე, დასაბუთება ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, მაშინ როდესაც რეალობა სულ სხვაა - წარსულში მომხდარ დანაშაულზე მტკიცებულების განადგურების და მიმალვის საფრთხე ეჭვქვეშაა, თუ არ გამოკვეთილა ამისი საფუძვლები.*
> *ზოგჯერ ზედმეტად შაბლონურია დასაბუთება - მტკიცებულებებს გაანადგურებს, მიიმალება [მაგ., დანას ატარებს ადამიანი და გაანადგურებს მტკიცებულებებს. ვერ და არ გაანადგურებს, რადგან დანა ამოღებულია და ის ადამიანები, ვინც დანა ამოიღო, დაკითხულია].*

პროკურატურა, ფაქტობრივად, ყველა საქმეზე მომართავს სასამართლოს აღკვეთის გამოყენების შუამდგომლობით, ყველგან დასაბუთება არის ერთი და იგივე და ეს ხშირ შემთხვევაში აზრს უკარგავს აღკვეთის საფუძვლიანობას.
როგორ ვუდგები და როგორ ვიხილავ აღკვეთის საკითხს - ზედმეტია ყველა შემთხვევაში აღკვეთის გამოყენებისთვის მომართვა, რადგან კანონი განსაზღვრავს საფუძვლებს, როდის უნდა გამოვიყენოთ იგი. რაც შეეხება პატიმრობის გამოყენებას, თუ არ მაქვს ყველა საფუძველი ერთობლიობაში [მიმალვის რისკი [ამას სასჯელის მოლოდინი ცალსახად წარმოშობს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ერთადერთი საფუძველი], მტკიცებულებების განადგურების ან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ან თუ არ დასტურდება რისკები, არ ვიყენებ პატიმრობას.
გამონაკლისია მკვლელობის დანაშაულები [გარდა გაუფრთხილებლობისა, რადგან განზრახ მკვლელობას მთელი წინარე ისტორია აქვს - მომზადება, გაფიქრება და ა.შ.], ნარკოტიკულ დანაშაულებზე [გასაღებაზე], ყაჩაღობა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი დანაშაულები, სქესობრივი დანაშაულები და ოჯახში ძალადობა თუ ინტენსივობა აშკარად მაღალია ან თუ ნასამართლევია პირი.
ასევე, ვითვალისწინებ ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებს - წარსული ნასამართლობები, ერთი და იგივე დონის საქმეზე [მტკიცებულებებისა თუ ფაქტობრივი გარემოებების დონეზე], შესაძლოა ნასამართლევ პირზე გამოვიყენო პატიმრობა და სხვა პირზე არ გამოვიყენო.“

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოსამართლეთა მხრიდან პატიმრობა, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად აღიქმებოდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და მისი გამოყენების შესაძლებლობა განიხილებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კანონით დადგენილი მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა უფრო მსუბუქი ღონისძიებებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე არაერთმა მოსამართლემ ისაუბრა, თუმცა ყურადღება ყველა მათგანს არ გაუმახვილებია.

“ ***მოსამართლე:*** *პატიმრობას ვიყენებ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ვხედავ, რომ სხვა აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას. ეს არის კანონის მოთხოვნა. პატიმრობა არის ყველაზე ბოლო შემთხვევა.*

“ ***მოსამართლე:*** *„როდესაც აღკვეთის ღონისძიების საკითხზე ვფიქრობ ხოლმე ყოველთვის ისევ კანონის ფარგლებში საფრთხეებიდან გამოვდივარ და ამ საფრთხეების ხარისხიდან გამოვდივარ. როგორც წესი კანონიც ასე ითხოვს და მეც ასე ვუდგები, პატიმრობას ბოლოსთვის ვიტოვებ ხოლმე. თუ ყველაფერი სხვა გამოირიცხა მერე ვფიქრობ პატიმრობაზე.*
ვფიქრობ ჩემ მიერ შეფარდებულ ღონისძიებებში ყველაზე მეტი იქნება გირაო. თუმცა ამ გირაოს მარტო არ ვიყენებ ხოლმე. საფრთხეებიდან გამომდინარე 199 მუხლში გათვალისწინებულ ღონისძიებებს ვურთავ ხოლმე ამ გირაოს. იქნება ეს ვინმესთან მიახლოების აკრძალვა, რაღაც მოქმედების აკრძალვა, გამოძიების ორგანოში რაღაც პერიოდულობით გამოცხადების ვალდებულება.“

ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა განსხვავდება როგორც რეგიონულ ჭრილში, ასევე ცალკეული მოსამართლეების შემთხვევაში და ზოგიერთ შემთხვევაში, განსხვავებულად ხდება კანონმდებლობის მოთხოვნების განმარტებაც. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკაში ხდება ძირითადად ორი ტიპის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება - პატიმრობა და გირაო, ხოლო სხვა სახეების გამოყენების შემთხვევები ძალიან მწირია, რასაც სხვადსხვა ფაქტორი განაპირობებს. ეს პრაქტიკა კი თავის მხრივ მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს ბრალდებულთა უფლებების დაცვის ჭრილში.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მქონე ფაქტორები ძალზე მრავალფეროვანია. ეს გარემოებები პირობითად შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფად:

კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული ფაქტორები, როგორიცაა ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა და ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკები. ინტერვიუების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს ფაქტორებია ძირითადი და მთავარი განმაპირობებელი მოსამართლეთა მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს.

> “ ***მოსამართლე:*** *ამ შემთხვევაში როდესაც მოსამართლე მსჯელობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხზე, ჯერ უნდა განსაზღვროს საერთოდ არის თუ არა საჭირო რაიმე ტიპის ღონისძიების გამოყენება.*
> *ბოლო პერიოდშიც და ჩემ პრაქტიკაშიც არაერთხელ მქონია გამოცდილება, რომ საერთოდ არცერთი აღკვეთის ღონისძიება არ გამომიყენებია. ნებისმიერი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას აქვს თავისი საფუძვლები - ფაქტობრივი საფუძვლები და ფორმალური საფუძვლები. ფაქტობრივი საფუძველი უკავშირდება მტკიცებულებების საკმარისობას, თუ რამდენად არსებობს მტკიცებულებები, რომელიც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით საკმარისია იმისათვის, რომ შესაძლოა დანაშაული იყოს სახეზე.*
> *ფორმალური საფუძვლები, ცნობილი ის რომ არ მიიმალოს, არ შეუშალოს გამოძიებას ხელი, ახალი დანაშაული არ ჩაიდინოს და ა.შ. არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც ასეთ საფუძვლებს ვერ ვხედავ და საერთოდ არ ვუფარდებ აღკვეთის ღონისძიებას.*

ინტერვიუების დროს, არაერთი მოსამართლის მხრიდან გამახვილდა ყურადღება გირაოსა და პირის ეკონომიკური მდგომარეობის ურთიერთმიმართების საკითხზე და მათ შორის დასახელდა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამრთლოს გადაწყვეტილებები და მიდგომები გირაოს წინაპირობებთან და მასთან დაკავშირებულ რისკებთან მიმართებაში.

> “ ***მოსამართლე:*** *რაც შეეხება გირაოს, თუ ვხედავ, რომ საფრთხეები არის მაგრამ არა იმ ხარისხის და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობები გვაძლევს*

შესაძლებლობას, ბრალდების სიმძიმე, მისი ქცევა სავარაუდო დანაშაულის შემდეგ, ეს ფაქტორები რაც საფუძვლად ედება აღკვეთის ღონისძიებას ვიყენებთ გირაოს.

აქ არის კიდევ მეორე საკითხი, გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენება, ე.წ. საპატიმრო გირაო. თუ დავინახეთ, რომ პატიმრობა აუცილებელია გირაოს უზრუნველსაყოფად ამას ვიყენებთ, თუმცა შეიძლება მოხდეს ისე, რომ დაკავების კანონიერების ეტაპზე მოსამართლემ დაკავება პირის ცნოს უკანონოდ და ბრალდებული გაათავისუფლოს, მაგრამ აღკვეთის ღონისძიება შეუფარდოს. ბოლო 6 თვეში არ მქონია, მაგრამ ყოფილა არაერთხელ როცა დაკავება მიმიჩნევია უკანონოდ, მაგრამ შემიფარდებია გირაო ან საერთოდ არაფერი შემიფარდებია.

ფაქტობრივად ყველა ინტერვიუს დროს მოსამართლეთა მხრიდან ხაზი გაესვა საკითხის კომპლექსურობასა და მრავალმხრივი მიდგომის აუცილებლობას აღკვეთის ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. აგრეთვე არაერთი მოსამართლის მხრიდან აღინიშნა დაზარალებულის ფაქტორი და საჭიროებები, რომელიც სხვა ფაქტორებთან ერთად გავლენას ახდენს აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრის საკითხზე.

> “ ***მოსამართლე:*** *პირდაპირ ჩამოთვლა ძალიან ძნელია კონკრეტულად რა გამითვალისწინებია და რა არია, მაგრამ ყველაფერს ვცდილობ გავითვალისწინო კომპლექსურად, რომ ერთიანი სურათი მქონდეს, რომ საფრთხეები უფრო სრულყოფილად აღვიქვა. მაგალითად ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებით, შეიძლება მაგალითად იყოს ისეთი გარემოებები რომელიც უფრო პატიმრობისკენ წაგიყვანს ვიდრე გირაოსკენ. მაგალითად ერთად ცხოვრობენ დაზარალებული და ბრალდებული. დაზარალებულს სხვაგან წასასვლელი არ აქვს, თუ დამოკიდებული არის ამ პირზე და ყოველდღიური ურთიერთობა უწევთ და დაძაბულია ეს ურთიერთობა.*
>
> *ასე კომპლექსურად უნდა იყოს ყველა გარემოება შეფასებილი, რომ თქვა რომ არკვეთის ღონისძიების მიზნები მიიღწევა პატიმრობის გარეშე, თუ ვერ მიიღწევა. კიდევ ჩაიდენს იგივეს გარეთ ყოფნის შემთხვევაში, თუ არა. ეს ყოველთვის შეფასებითია, მაგრამ ვცდილობთ ეს შეფასებები რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის საფუძველზე მივიღოთ და რაც შეიძლება მეტად გამოვკვეთოთ ეს საფრთხეების ხარისხი.*
>
> *უფრო ძალადობრივ ქმედებებთან და თავშეუკავებელ ქმედებებთან დაკავშირებით ან ისეთი ადამიანების რომლის გარეთ დატოვებაც მაღალი რისკის შემცველია.*

საინტერესო მიდგომები გამოიკვეთა ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული საფრთხეების საკითხზე მსჯელობის პროცესში, კონკრეტულად კი როგორ ხდება მოსამართლეთა მიერ სხვადასხვა სახის რისკებისა და საფრთხეების შეფასება და რა კონკრეტული გარემოებები ახდენენ გავლენას ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე.

“ ***მოსამართლე:*** *ზოგადად პატიმრობას რატომ ვიყენებთ, იმიტომ, რომ ნაკლებად მკაცრი ღონისძიება, თუნდაც გირაო, ვერ უზრუნველყოფს იგივე მიზანს. საფრთხე, რომელსაც დავადგენთ, იმ საფრთხის შეკავება და პრევენცია ვერ ხერხდება იზოლაციის გარეშე. თუ შესაძლებელია იზოლაციის გარეშე იგივე მიზანს მიაღწიო, ვიყენებთ არასაპატიმრო ღონისძიებებს. ეს ძირითადად განპირობებულია რით, ან ერთჯერადია ქმედება, პირველი შემთხვევაა, არა აქვს ამ ქმედებას ისეთი გამოვლინებები, რომელიც ამ პირის დამოკიდებულებებზე მიგვანიშნებს, [მაგალითად სტერეოტიპულ დამოკიდებულებებზე, რომელიც რთულია 2 დღეში აღკვეთო, მაგალითად გირაოს შეფარდებით და ზნე შეიცვალოს ადამიანმა.] მაგალითად ის, რომ ბევრჯერ არის ნასამართლევი ერთი და იგივე კატეგორიის ქმედებისთვის.*

მიმალვის საფრთხის დროს, პატიმრობა გამოგვიყენებია, მაგალითად როდესაც პირი სასაზღვრო პუნქტზე დააკავეს, გაექცა პოლიციას, საჭირო გახდა მისი დევნა და ა.შ. როდესაც მართლა ნაბიჯები გადადგა, რომ თავი დააღწიოს მართლმსაჯულებას და არა ჰიპოთეტურად, შეიძლება მაღალი სასჯელია გათვალისწინებული და ამიტომ გაიქცეს.

ხოლო გირაოს გამოყენების დროს, შესაძლოა მიმალვის საფრთხე არსებობდეს, მაგრამ არა იმ ხარისხით, მაგალითად, ბრალდებულს არ უცდია გაქცევა. მიმალვის საფრთხეზე ზოგადად სტრასბურგის მიდგომაც ისეთია, რომ არ არის გამართლებული პატიმრობის გამოყენება.

მოწმეებზე ზემოქმედებას რაც შეეხება, მე შეიძლება დავადგინო მოწმეზე ზემოქმედების საფრთხე, მაგრამ ვთქვა, რომ ამისთვის პატიმრობა არ მიმაჩნია საჭიროდ. იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე საფრთხე არსებობს ერთად და ამიტომ ვიყენებ პატიმრობას, და შემდეგ ერთ-ერთი საფუძველი აღარ არსებობს, ეს შეიძლება გახდეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი. ესეთი შემთხვევაც მქონია. იყო კონკრეტული ქეისი, სადაც, პატიმრობა იყო მოწმეზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რომ დავკითხე მოწმე, უბრალოდ აღარ არსებობდა ეს საფრთხე და შევუცვალე აღკვეთის ღონისძიება.

რაც შეეხება ზოგადად მოწმეებზე ზემოქმედების თვალსაზრისით, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებებს, ერთი, ეს შეიძლება იყოს მსხვერპლი, რომელიც მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნება და ხელმისაწვდომობა არის იოლი სავარაუდო დამნაშავისთვის. მაგალითად მსხვერპლი არასრულწლოვანია, ხანდაზმულია. არის ბევრი შემთხვევა, როდესაც მსხვერპლს ემუქრებიან - თუ პოლიციას შეატყობინებ მოგკლავ ან ა.შ.

ინდივიდუალურად შემთხვევას და ქმედებებს გააჩნია, რაც შეიძლება იყოს მაპროვოცირებელი რომ ბრალდებულის იზოლაცია გახდეს საჭირო. ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში შეიძლება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გამოვიყენოთ, მაგრამ დავუწესოთ დამატებითი აკრძალვა, მაგალითად მსხვერპლთან მიახლოების აკრძალვა ან ელექტრონული მონიტორინგი.

ყველაზე ნაკლებად გამოყენებადი რაც არის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების საფუძვლად, ეს არის ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ბევრი მძიმე დანაშაულია, სადაც არ ვიყენებ პატიმრობას. ჩემს პრაქტიკაში, ძირითადად ოჯახში ძალადობის შემთხვევებია სადაც ამ საფუძვლით შეიძლება

გამოვიყენო პატიმრობა. ამ შემთხვევაში, პიროვნულ მახასიათებლებს უფრო ვაქცევ ყურადღებას. თუნდაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში თუ იყო მიცემული, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევას თუ ჰქონდა ადგილი და ა.შ. ცალსახად ვერ იტყვი, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ხშირად ვაქცევთ ყურადღებას, სიცოცხლის მოსპობის მუქარა თუ ერთვის, მსხვერპლი თუ აღნიშნავს, რომ პირველი შემთხვევა არაა და ხშირად მომხდარა ძალადობა. მათ შორის სტერეოტიპებიც დიდ როლს თამაშობს, რომ არ იქნეს გამოყენებული არასაპატიმრო ღონისძიება. თვითონ ძალადობის ხასიათსაც გააჩნია. სავარაუდო მსხვერპლის უნდა დაიცვა აღკვეთის ღონისძიებით. მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რაც რეალურად განგრძობითობას აჩვენებს. გააჩნია ყველაფერს, ბრალდებულის პიროვნებასაც და დაზარალებულის პიროვნებასაც.

კვლევის პროცესში გამოჩნდა, რომ აღკვეთის ღონისძიების გადაწყვეტილების დროს, არასრულწლოვანთა შემთხვევაშიც კი, საფრთხეებთან ერთად ბრალდებული პირის ასაკიც ახდენს გავლენას შედეგზე.

> “ ***მოსამართლე:*** *ბოლო შემთხვევაში რაც მახსენდება, იყო პირველი შემთხვევა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იყო. ბრალდებული იყო 15 წლის. არასრულწლოვნების შემთხვევაშიც, კი ყველა არასრულწლოვანია, მაგრამ ქვედა ზღვარზეა თუ ზედა ზღვარზე ამასაც აქვს მნიშვნელობა, მისი პიროვნული, გონებრივი განვითარების და გააზრების კუთხით. გარდა ამისა აღიარებდა, არ იყო მტკიცებულებების განადგურების და მიმალვის საფრთხე. საფრთხეები არ იყო იმდენად მაღალი, რომ პატიმრობაში ყოფილიყო. შეიძლება პირი იყოს ვთქვათ 3 თვე პატიმრობაში და ჩამითვლია, რომ ეს 3 თვე საკმარისია გასააზრებლად რა ტიპის შედეგი შეიძლება მოყვეს მის ასეთ ქმედებას და რამდენად საზიანოა, როდესაც დანაშაულს ჩადის და შემდეგ შემიცვლია აღკვეთის ღონისძიება არასაპატიმრო ღონისძიებით.*

მნიშვნელოვანი საკითხები გამოიკვეთა არასრულწლოვან ბრალდებულთა შემთხვევაში, რა დროსაც მოსამართლეებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ისეთი ფაქტორებიც კი მოქმედებს როგორიცაა, სავარაუდოდ ჩადენილი ქმედების ეპიზოდების რაოდენობა, წარსული ნასამართლობა, მშობლის მხრიდან მეთვალყურეობისა და მოზარდის აღზრდაში ჩართულობის ხარისხი, მოზარდის საცხოვრებელი გარემო, სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა.

> “ ***მოსამართლე:*** *როდესაც არის რამდენიმე ეპიზოდი დანაშაულის და ასეთი საქმეები ბოლო დროს ძალიან ხშირია, ბოლო წელს რაც შემოვიდა სულ არის 20 ეპიზოდი ქურდობა მაგალითად, შერეული შეიძლება იყოს ძარცვა, მაგრამ სულ არის მრავალი ეპიზოდი, 20, 17, 10 და ა.შ. რამდენიმე საქმე მაქვს ასეთი წარმოებაში. ამ შემთხვევაში ნასამართლევიც რომ არ იყოს პირი, დანაშაულებრივი საქმიანობის განგრძობადობის საფრთხე რა თქმა უნდა არის, ჩანს თვითონ ბრალიდან გამომდინარეც. ეს ყოველთვის ვარაუდს ეყრდნობა, უდანაშაულობის პრეზუმფციას ყოველთვის მხედველობაში ვიღებ, მაგრამ*

ვარაუდი როდესაც არის საკმარისად ნათელი და დასაბუთებული, ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა ეს საფრთხე არის.

- ***მოსამართლე:*** *ძირითად შემთხვევაში, ყველაზე გამოყენებადი საფუძველი არის პირის წარსული ნასამართლობა, დანაშაული ჩადენილი აქვს პირობითი მსჯავრის პერიოდში ან არის შემთხვევები, როდესაც არის რამდენიმე ეპიზოდი და შემდეგ გაერთიანდა საქმე, ამ პირის მიმართ უკვე იყო გამოყენებული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება და ამ პირობებში სავარაუდოდ ახალი დანაშაული ჩაიდინა. შესაბამისად ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე უფრო იკვეთება, ვიდრე მიმალვის ან მტკიცებულებების განადგურების. როცა პირი რამდენჯერმეა ნასამართლევი ან რამდენჯერმე იყო გამოყენებული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება და ახალ დანაშაულში იმხილება, იქ ძალიან კარგად ჩანს, რომ ეს პრევენციული გავლენა არასაპატიმრო ღონისძიებებს ვერ ქონდა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ითხოვს მხარე, რომ მშობლის მეთვალყურეობაში მოხდეს პირის გადაცემა და ამ დროს საქმეში დევს უკვე განჩინება, რომლის მიხედვითაც მას ჰქონდა უკვე ეს აღკვეთის ღონისძიება შეფარდებული და აქვს დარღვეული. ან სულ ღამის საათებში აქვს ჩადენილი დანაშაული. მქონდა შემთხვევა, როდესაც მშობელი ცხოვრობდა ბათუმში და ბავშვმა თბილისში ჩაიდინა დანაშაული და მხარე ითხოვდა მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემას. ამ დროს საქმის მასალებიდან ჩანდა, რომ მშობელმა ის 2 თუ 3 დღე საერთოდ მისი შვილი სად იყო არ იცოდა. სხვა ქალაქში იყო 15 წლის ბავშვი და მშობელმა ამის შესახებ არ იცოდა. ასეთ შემთხვევაში ცალსახაა, რომ მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა ვერ იქნება ეფექტური და ხშირად არჩევანიც არ გვაქვს, რადგან გირაოს რომ იყოს შემაკავებელი ჭირდება ქონებრივი მდგომარეობა და ზოგჯერ ეს ბავშვები არიან სოციალურად დაუცველი. ვერც ვერაფერს გთავაზობს მხარე და შემაკავებელი 50 და 100 ლარი ვერ იქნება, იმიტომ რომ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი ბევრად აღემატება ამ 100 ლარს. აქედან გამომდინარე ზოგჯერ არჩევანიც არ გვაქვს, რომ ეს ბავშვი ცოტა ხნით რაღაცით შევაკავოთ და გაცნობიერებაშიც დავეხმაროთ, ზოგჯერ პატიმრობა ეფექტურია.*

გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მოსამართლის მოსაზრებით პატიმრობა მოზარდის საუკეთესო ინტერესს ემსახურება. ამ შემთხვევაში საუბარი შეეხებოდა ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს და ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ცალსახად მიანიშნებს ქვეყანაში არსებულ უმძიმეს სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობაზე, პრევენციული მექანიზმების არ არსებობასა და ბავშვთა დაცვის სისტემის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაზე. საგანგაშოა ის, რომ მოსამართლეს შესაძლოა უწევდეს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გადაწყვეტილების მიღება იმის გამო, რომ ბავშვის პირველადი საჭიროებები შესაძლოა საპატიმრო დაწესებულებაში უკეთ იყოს დაკმაყოფილებული.

- ***მოსამართლე:*** *ქუჩაში მცხოვრები ბავშვების შემთხვევაში, არის ძალიან დიდი განსხვავება, პირველად რომ ნახავ, პირველი წარდგენის სხდომაზე და შემდეგ პენიტენციური დაწესებულებიდან რომ მოყავთ, როგორი სხვანაირია ეს ბავშვი,*

ფიზიკურადაც უკეთ გამოიყურება, მოწესრიგებულია, დამშვიდებულიც არის, გამოკვებილიც არის ...
აშკარად ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესს პატიმრობაში ყოფნა შეიძლება უფრო ემსახურებოდეს, ვიდრე არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენება. იცი, რომ იმ ბავშვს გარეთ თუ გაუშვებ, ისევ ქუჩაში უნდა იყოს, ელემენტარული საკვები რომ მოიპოვოს რაღაც დანაშაული უნდა ჩაიდინოს, რა თქმა უნდა მისთვის უკეთესი იქნება ცოტა ხანი მაინც იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იქ მერე ერთვებიან სხვადასხვა სოციალური სამსახურები და შეიძლება ეს ბავშვი სწორ გზას დაადგეს საბოლოო ჯამში.

გარდა კანონმდებლოთ გათვალისწინებული რისკებისა და ზემოთ მოყვანილი ფაქტორებისა, კვლევის შედეგად იკვეთება, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გადაწყვეტილების მიღების დროს გავლენას ახდენს ასევე საკანონმდებლო შეზღუდვები, რომელიც შესაძლოა ხელს უშლის არასაპატიმრო აღკვეთის გადაწყვეტილების მიღებას. მაგალითად როგორიც შეიძლება იყოს პირადი თავდებობის შემთხვევაში როგორც ბრალდებულის, ასევე თავდები პირის თანხმობა და მათი გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლო სხდომაზე ყოფნის აუცილებლობა, ზოგიერთი აღკვეთის ღონისძიების შემთხვევაში დანაშაულის კატეგორიებით შეზღუდვა და სხვა. ამასთანავე მოსამართლეთა მხრიდან აღინიშნა, რომ ზოგიერთი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროება და პრაქტიკული შესაძლებლობა საერთოდ არ დგას.

“ ***მოსამართლე:*** *იშვიათად მიჩევს გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენება, რადგან არის შეზღუდვა და არ შეიძლება გამოყენება, ისეთ დანაშაულებზე, როდესაც სანქცია 1 წლით თავისუფლების აღკვეთას აღემატება. ასეთი დანაშაულები სასამართლომდე ძალიან ცოტა მოდის, რადგან ხდება გამოძიების ეტაპზევე ან განრიდების გამოყენება ან შეიძლება საერთოდ დევნა არ დაიწყოს. ამიტომ იშვიათად გვიჩევს ამ ღონისძიების გამოყენება, რადგან სამართლებრივად შეუძლებელია.*
პირად თავდებობა არის ძალიან სპეციფიური და აქვს მკაცრად განსაზღვრული გამოყენების წესი. ეს არ არის აღკვეთის ღონისძიება, რომელსაც მოსამართლე თავისი ინიციატივით გამოიყენებს, ამას ჭირდება ერთობლივი განცხადება, თავდები პირების თანხმობა და ა.შ. როგორც წესი ამ ღონისძიებაზე მოთხოვნა არის ხოლმე სამოხელეო დანაშაულებზე და ე.წ. „გახმაურებულ დანაშაულებზე“, სადაც საზოგადოება უდგება თავდებში ბრალდებულს. გამომიყენებია ეს ღონისძიება, მაგრამ იშვიათად.
კიდევ არის სამხედრო პირის სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემა, რომელიც სპეციფიურ დანაშაულებზე გამოიყენება. ამიტომ, პრაქტიკულად რჩება გირაო. ბოლო 6 თვეში და პრაქტიკაშიც, ალტერნატიული ღონისძიების სახით, ძირითადად ვიყენებთ გირაოს.“

“ ***მოსამართლე:*** *ხელწერილი გაუსვლელობაზე უნდა გაფართოვდეს და ნაკლებად მძიმეზე მაინც უნდა გავრცელდეს, რომ რამე ეფექტი ჰქონდეს. ეგეც გამომიყენებია რამდენჯერმე. მაგას აფერხებს საკანონმდებლო შეზღუდვა.*

ფაქტობრივად დანაშაული არ არის რომელზეც მაგის გამოყენება შეგიძლია. 100 დან ერთი შემთხვევაა. წელიწადში მექნება სულ 1 საშუალება, რომ გამოვიყენო და იქაც საქმე მომცემს თუ არა საშუალებას არავინ იცის. ფაქტობრივად კანონისმიერად გამოუყენებელია.

- ***მოსამართლე:*** *თავდებობის საკანონმდებლო წინამძღვრები შეიძლება იყოს ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორი, მაგიტომაც უფრო ნაკლებად ვიყენებ. თუმცა მეორე ფაქტორიც არის - მგონია, რომ აღკვეთის დაკისრება არის პერსონალური საკითხი - მან თავად უნდა გაიაზროს აღკვეთის ქვეშ ყოფნა რას ნიშნავს და აბსტრაქტულად და არარეალურად მეჩვენება სხვას დაეკისროს სხვის ქცევაზე პასუხისმგებლობა. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა დამოკიდებულება აქვს ბრალდებულს თავდების მიმართ - მის რეპუტაციას, ვალდებულებებს გაუფრთხილდეს. როგორც წესი, აღკვეთი ღონისძიების ეტაპზე ამას ვერ ვარკვევთ, რადგან უბრალოდ ასახელებენ თავდებებს. თავდების ფუნქცია შეიძლება იყოს ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა [შეახსენოს სასამართლოში გამოცხადების პერიოდულობა და დრო], მაგრამ ის ვერანაირად ვერ იქნება პასუხისმგებელი ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებაზე. ამდენად, მიმაჩნია, რომ არც ისე ეფექტური აღკვეთის ღონისძიებაა და თუ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკია, მისი გამოყენება არ მიმაჩნია მიზანშეწონილი.*

- ***მოსამართლე:*** *პირად თავდებობასთან დაკავშირებით, მეც შემქნია პრობლემა, რომ გაჭიანურებულია რადგან ყველა უნდა იყოს ადგილზე, ყველას უნდა კითხო აზრი, ყველას უნდა აუხსნა ყველაფერი და ეს დროში გაწელილი პროცესია. თუმცა მართალი გითხრათ სხვაგვარად უკეთესად როგორ შეიძლება დარეგულირება არ ვიცი, რადგან აუცილებელია პირის დამოკიდებულება. თუ იმ პირს არ სურს ან თუ არ არის სათანადოდ ახსნილი ან როცა აუხსნი მერე გადაიფიქრებს, ეს ყველაფერი საჭიროა, რომ რაღაცნაირად მიწოდებული იყოს მისთვის. ეს თუ მოსამართლემ არ გააკეთა სხდომაზე, არ ვიცი სხვაგვარად როგორ შეიძლება გაკეთდეს. თუმცა პრობლემას დროში გაჭიანურების და გართულებით ვხედავ, გამარტივების გზასაც ვერ ვხედავ.*

- ***მოსამართლე:*** *პირადი თავდებობის შემთხვევაში ჩემი აზრით ორმაგი თანხმობა არ აფერხებს ამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას. მანდამდე თუ მივიდა საქმე, ისედაც ორმაგი თანხმობაა, მოსამართლე ხომ არ აირჩევს იმ ადამიანს, თვითონ მოყავს ბრალდებულს. მე მაგალითად როდესაც გამოვიყენე პირადი თავდებობა, საქმის მასალები მაძლევდა საშუალებას, რომ ბრალდებულის ბიძა მივიჩნიე სანდო პირად მე თვითონ. აღმოჩნდა, რომ დარბაზში იყო, ბევრს აქტიურობდა და რომ გამოვკითხე ვინაობა აღმოჩნდა რომ ის პირი იყო საქმის მასალებიდან რაც მქონდა წაკითხული და მე თვითონ დავაინიცირე.*

- ***მოსამართლე:*** *პირადი თავდებობის პრობლემა ისაა, რომ პროცესზე რომ მოდიან და პირველად ესმით რა არის ეს აღკვეთის ღონისძიება, შენ ვადაში ხარ შეზღუდული და სად უნდა მოძებნოს პირადი თავდები. ერთხელ ისეც მოხდა,*

რომ 2 საათით გადავუდე პროცესი და მივეცი საშუალება მოეძებნა თავდები. რადგან ადამიანმა ახლა გაიგო იქნებ მისცე საშუალება, რომ ძალიან ფორმალური არ იყოს განმარტება. მე ყოველთვის ვუმარტავ ყველა ბრალდებულს, ყავს ადვოკატი თუ არ ყავს მიუხედავად ამისა ალტერნატივები რა არის. ალტერნატიული პოზიცია რა უნდა ჰქონდეს პატიმრობისგან. პირადი თავდებობა ზოგჯერ წარმოუდგენელია, მაშინ თავიდანვე ადვოკატი უნდა იყოს ჩართული, ამ ბრალდებულმა უნდა იცოდეს, სავარაუდო თავდები უნდა მოვიდეს პროცესზე, მოსამართლემაც უნდა ჩათვალოს სანდო პირად, ადგილზე უნდა იყოს პროცესზე, რომ კითხვები დაუსვა, გამოკითხო. საერთოდ პირადი თავდებობა ყველაზე უფრო მსუბუქი ღონისძიებაა ჩემი აზრით, რადგან ბრალდებულზე ფაქტობრივად არავითარი ტვირთი არაა. ეს აღკვეთის ღონისძიება ზოგადად ჩემი აზრით ძალიან ზნეობრივ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ფაქტობრივად ყველა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე ისეთი ფაქტორების მნიშვნელობა, რომელიც ბრალდებულის პიროვნებასთანაა დაკავშირებული. როგორიც შეიძლება იყოს ასაკი, სქესი, ხანდაზმულობა, შშმ სტატუსი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ორსულობა, ოჯახური მდგომარეობა, კმაყოფაზე მყოფი ანდა დამოკიდებული პირები და სხვა.

- ***მოსამართლე:*** *რაც შეეხება ასაკს, სქესს და ა.შ. ეს გარემოებები პირდაპირ გავლენას არ ახდენს. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს საფრთხეებიდან გამომდინარე. მხოლოდ იმიტომ რომ ქალია, მხოლოდ იმიტომ რომ ასაკოვანია, ამის გამო აღკვეთის ღონისძიების მიმართ ვერავინ ვერ შეიცვლის დამოკიდებულებას, თუმცა ეს ასაკი ან სქესი ან სხვა გარემოებები უკავშირდება საფრთხეების გამორიცხვას. აი მაგალითად თუ არიას ადამიანი, რომელსაც ფიზიკურადაც არ შეუძლია გადაადგილება და მატერიალურადაც არ აქვს ამის საშუალება რომ ბილეთი იყიდოს და სადმე წავიდეს, ეს შეიძლება მიჩნეული იქნეს მიმალვის საფრთხის ნაკლები ხარისხის არსებობის გარემოებად. ეს კომპლექსურად ხდება.*

- ***მოსამართლე:*** *მხოლოდ სქესი, ქალი რომაა, კაცი რომაა ამის გამო ვერ შეუფარდებ კონკრეტულ ღონისძიებას, მაგრამ სქესი თუ უკავშირდება რაღაც ისეთს რაც იმ კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით ან იმ კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით გავლენას ახდენს საფრთხეებზე ან ამცირებს საფრთხეებს, ასეთ შემთხვევაში რა თქმა უნდა ახდენს გავლენას.*

- ***მოსამართლე:*** *არ მიმაჩნია სწორად, როდესაც სექსის გამო განსხვავებული აღკვეთის ღონისძიებებით შემოდიან. ჩემი აზრით დისკრიმინაციაა ჩვეულებრივი. არის ისეთი შემთხვევებიც როდესაც კაცი და ქალი ერთად ჩადიან დანაშაულს, კაცს აკავებენ და ქალს არა. მე არ მიმაჩნია გამოყოფა სწორად სქესის გამო.*

“ ***მოსამართლე:*** *ერთ საკითხს გამოვყოფდი, რომ ქალების მიმართ პროკურატურის მოთხოვნა არ არის მკაცრი. ერთი და იმავე დანაშაულებზე პროკურატურამ შესაძლოა ქალია მიმართ მოითხოვოს გირაო [და კაცის მიმართ პატიმრობა] და ჩვენ მის დამძიმებაზე ვერ მსჯელობთ. რაც შეეხება ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა [ერთადერთი მარჩენალია, კმაყოფაზე ჰყავს შვილები, არის დასაქმებული და ამაზეა ყველაფერი დამოკიდებული], ბუნებრივია ყველაფერს ვითვალისწინებ. შეიძლება სამივე საფუძველი იყოს აღკვეთის გამოყენების, მაგრამ პატიმრობა უნდა იყოს ქმედების და რისკების პროპორციული. თუ ეს პროპორცია არ არის, ვითვალისწინებ ამ გარემოებებს და ამ ინტერესის სასარგებლოდ ვიღებ გადაწყვეტილებას და არა - პატიმრობის.*

“ ***მოსამართლე:*** *ბავშვის ინტერესი გამითვალისწინებია. მქონია შემთხვევა როდესაც მშობელი არის პასუხისგებაში მიცემული და თუ ის იქნება იზოლირებული შეიძლება დაირღვეს ბავშვის ინტერესი. მქონია შემთხვევა, მაგალითად მამაკაცს ბრალი ედებოდა ძალადობის ჩადენაში მეუღლის მიმართ, რომელმაც ბავშვები მიატოვა და ამ ბავშვებს მამა და მამის მშობლები ზრდიდა. ბაშვები გადაიყვანეს თავშესაფარში, რადგან დედამ მიატოვა და მამა აღმოჩნდა საპატიმროში, ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იყვნენ. გავითვალისწინე ბავშვის ინტერესი, არ გამოვიყენე პატიმრობა, რადგან ამ ბავშვებს ჭირდებოდათ მამა. ასეთი ფაქტორების არის ხოლმე. ინდივიდუალური მიდგომა არის ძალიან მნიშვნელოვანი.*
ჩვენ ხომ დასაბუთებული ვარაუდით ვიხილავთ ამ ყველაფერს, უსაფუძვლოდ ამ გადაწყვეტილების მიღება არ უნდა მოხდეს რა თქმა უნდა, მაგრამ არც ისეთი სტანდარტი არ არის, რომ რაღაც მყარი, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებები მოვითხოვოთ. ამას თვითონ ხედავ და აფასებ პროცესზე.
ძალიან დიდი პასუხისმგებლობა აქვს მოსამართლეს, თუ ის შეცდომას დაუშვებს, შეიძლება ის საფრთხე რეალობად იქცეს, ან პირიქით. თუ მაგალითად დატოვებს პატიმრობაში, არ არის საჭირო ასეთ აღკვეთის ღონისძიება და მაინც იყენებს. შეიძლება ეს გახდეს შურისძიების საფუძველი. გამოვიდეს მაგალითად და მერე უარესი გააკეთოს. ამიტომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა და ზოგადად მოსამართლეობა არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, ყველა კონტექსტში.

“ ***მოსამართლე:*** *რა თქმა უნდა, პიროვნების მახასიათებლებს მხედველობაში ვიღებთ, მათ შორის, ოჯახურ მდგომარეობასაც - განსაკუთრებით თუ ჰყავს კმაყოფაზე მყოფი პირი ან არასრულწლოვანი შვილები და არის თუ არა შვილი, რომელსაც შეიძლება მზრუნველობა გაუწიოს ამ პირს. თუმცა, ცალსახად ის, რომ შვილი გყავს, რომ თუ საპატიმრო აღკვეთი ღონისძიებაა გამოსაყენებელი, ეს გადაწონის, რადგან არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო [მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო], რომელიც უნდა ჩაერთოს და უნდა ჩართო. კუმულატიურად ფასდება ყველა ეს ფაქტორი.*

“ ***მოსამართლე:*** *ქალბატონის ორსულობა - მხედველობაშია მისაღები. ასევე, მცირეწლოვანი ბავშვის არსებობა, მითუმეტეს თუ ეს ბავშვი ბუნებრივ კვებაზე*

იმყოფება. ჯანმრთელობის მდგომარეობა მხედველობაშია მისაღები, თუ მისი ეს მდგომარეობა გაუარესდა და პენიტენციურ დაწესებულებაში შესაბამისი მკურნალობის მიღების შესაძლებლობა არ აქვს ან კითხვის ნიშნებია ამ მკურნალობასთან დაკავშირებით [ნაკლებად მქონია ეს, მაგრამ შესაძლებელია].

- ***მოსამართლე:*** *არასრულწლოვან შვილებთან დამოკიდებულების საკითხი ახდენს გავლენას. თუმცა გააჩნია არის თუ არა იმავე ოჯახის წევრების მიმართ ოჯახური დანაშაული, თუ რაიმე სხვა ქმედება. ყველაფერი ახდენს გავლენას, ყველა ფაქტობრივი გარემოება.*

განსხვავებული და განსაკუთრებული გარემოებები იკვეთება არასრულწლოვან ბრალდებულთა შემთხვევაში, როდესაც მოსამართლეთა მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა ბავშვის საუკეთესო ინტერესს, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს.

- ***მოსამართლე:*** *ბავშვების შემთხვევაში, როდესაც აღკვეთის ღონისძიებას ვიყენებთ, ზოგჯერ ინდივიდუალური შეფასების ანგარი შესაძლოა უკვე სახეზე იყოს და თუ ვხედავ, რომ მხარდაჭერის ქსელი სანდოა და ფართო მაშინ უფრო მარტივია აღკვეთის ღონისძიების შეცვლის გადაწყვეტილების მიღება. არიან ბავშვები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ, ან ყავს მშობელი, მაგრამ ღამის საათებში ჩადის დანაშაულს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც რამდენიმე დანაშაულია ჩადენილი, 3-4 ღამის 2-დან დილის 6 საათამდე მონაკვეთში. ასეთ შეიძლება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება არ ჩავთვალო ეფექტურად, რადგან ესე იგი მშობელიც ვერ უზრუნველყოფს და ვერ ახდენს ბავშვის კონტროლს.*

- ***მოსამართლე:*** *მცირე ასაკსაც და განვითარების დონესაც ვიკვლევ. მე აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების დროს ბევრ შეკითხვას ვსვამ, რომ რეალურად გავიგო და დავრწმუნდე, თუ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებას გამოვიყენებ ეს იქნება სწორი გადაწყვეტილება. სხვათაშორის საუბრობენ ხოლმე. არიან ბრალდებულები, რომლებიც იტყუებიან და ამ დროს ძნელია ნდობა. ახლავე რომ მატყუებს, რატომ ენდოს სასამრთლოს. გულწრფელობა ყოველთვის მნიშვნელოვანია.*

- ***მოსამართლე:*** *ბავშვს ედებოდა ბრალად მკვლელობის მცდელობა, 19-108 მუხლი, იყო 15 წლის. მიუხედავად იმისა, რომ ბრალი ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ამ ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან რთულად მომეჩვენა, გარდა ამისა მომიტანეს ცნობა, რომ ამ ბავშვს ჰქონდა ეპილეფსიის საკმაოდ რთული ფორმა. ვიდეო ჩანაწერიც კი წარმომიდგინეს, სადაც ეს შეტევის სცენა იყო გადაღებული. დედამ განაცხადა, რომ შეტევები ღამით ემართება და მე ვარ ხოლმე მის გვერდითო. მძიმე კრუნჩხვითი შეტევები ჰქონდა, რომელის დროსაც თუ ადამიანი გვერდით არ ჰყავს შეიძლება გაიგუდოს ჰაერის უკმარისობისგან. დედამ განაცხადა, რომ არ მაქვს გარანტია, რომ პენიტენციურ სისტემაში, ასე ღამის განმავლობაში ვიღაც გაუწევს*

ზედამხედველობას და დახმარებას. არსებობდა საფრთხე მდგომარეობის გართულების. ამ შემთხვევაში ბრალდებაც ცოტა გაზვიადებული მეჩვენებოდა.
იყო მეორე შემთხვევაც, ანალოგიური, ბავშვი იყო მძიმე ემოციურ მდგომარეობაში, რომ მოიყვანეს სულ კანკალებდა, ვერ გავაჩერეთ. შევატყვე, რომ იყო უდიდესი სტრესი სასამართლოში მოყვანაც და იგივე დახურულ დაწესებულებაში ყოფნა. მე გამიჩნდა სხვათა შორის შიში, რომ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ან სუიციდის მცდელობა არ ჰქონოდა, ან რაღაც მსგავსი. იმდენად ნორმალური მშობლები ჰყავდა, რომ გადავწყვიტე სანამ საქმის განხილვა დასრულდებოდა, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გამომეყენებინა. თანაც ინდივიდუალური შეფასების ანგარიშით ძალიან დადებითად ხასიათდებოდა. დაჭრის შემთხვევა იყო და საქმიდან ჩანდა, რომ დაზარალებულის მხრიდან იყო პროვოცირებული დანაშაული. ეს გარემოებები ყველაფერი მივიღე მხედველობაში. საბოლოოდ როდესაც გავათავისუფლე პატიმრობიდან, ცოტა დიდი დრო დაჭირდა საქმის განხილვას, წელიწადზე ცოტა მეტი, ამასობაში გაიზარდა, შეეგუა თავის მდგომარეობას, საპატიმრო სასჯელი დავუტოვე, მაგრამ უკვე შეგუებული რომ იყო და ვისაუბრეთ კიდეც მანამდე, ძალიან ღირსეულად მიიღო სასჯელი და ეს სტრესის მომენტიც იმდენად აღარ ქონდა.
როცა არასრულწლოვნებს შეეხება საპატიმრო აღკვეთის და ზოგადად აღკვეთის ღონისძიების საკითხი, ძალიან ფაქიზი მიდგომებია საჭირო და ძალიან ინდივიდუალურად თუ არ განსაზღვრე, მხოლოდ დანაშაულის სიმძიმიდან და სხვა ფაქტორებიდან არ უნდა გამოხვიდე.
თან ვუხსნი ყოველთვის, რომ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება არ ნიშნავს, რომ თუ დამნაშავედ იქენი ცნობილი არ მოგიწევს სასჯელის მოხდა საპატიმრო დაწესებულებაში. ეს რომ იციან წინასწარ, მოლოდინიც აქვთ და აღარ არის იმხელა სტრესი საბოლოო ჯამში.

აღკვეთის ღონისძიებების განსაზღვრის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე საინტერესოა, რომ გავლენას შესაძლოა ახდენდეს სხვა გარეშე ფაქტორებიც, რომელიც პირდაპირ დაკავშირებული არ იყოს კონკრეტულ ქმედებასთან ან პირთან, თუმცა თუმცა ირიბად შეიძლება გავლენა იქონიოს გადაწყვეტილების მიღებაზე. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად სისხლის სამართლის პოლიტიკა, კრიმინოლოგიური მდგომარეობა, კვლევები, სტატისტიკური მონაცემები, პატიმრობის ინდექსი და სხვა. ეს უკანასკნელი შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ნაკლებად ან ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ ახდენს გავლენას რესპოდენტთა გადაწყვეტილებაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს.

“ ***მოსამართლე:*** *მხოლოდ გარეშე ფაქტორები და გარემოებები, არ მგონია და ვერ იქნება გავლენის მომხდენი, თუ ის არ უკავშირდება კონკრეტულ საფრთხეებს. მე ხშირად მსმენია პროკურორებისგან, როდესაც სასამართლოში შუამდგომლობებს აყენებენ, რომ ეს გავრცელებული დანაშაულია, ამ კონკრეტული დანაშაულების მიმართ, სახელმწიფოს მიდგომა მკაცრია. მსგავსი დასაბუთებები ხშირად მსმენია, თუმცა ეს ჩემი მხრიდან, მაგალითად პატიმრობისკენ ფიქრის საფუძველი არ გამხდარა და ვერ გახდება, თუ ისევ და ისევ კომპლექსურად სხვა საფრთხეებსაც არ დამანახებს. მხოლოდ ის გარემოება,*

რომ სხვა ადამიანები ბევრჯერ ჩადიან ამ ქმედებას, კონკრეტული ბრალდებულის მიმართ ვერ გახდება აღკვეთის ღონისძიების გამკაცრების საფუძველი, თუ უშუალოდ ამ ბრალდებულსაც არ აქვს მიდრეკილებები ამ მიმართულებით. ისიც არ იზიარებს ამ საერთო შეხედულებებს და თუ არ ვხედავ, რომ მასაც საფრთხე ეზრდება ამ ვითარების გამო.

“ ***მოსამართლე:*** *საზოგადოების აზრი ნაკლებად მოქმედებს. უბრალოდ თემში თუ არის დამოკიდებულებები, ამას ვითვალისწინებთ, მაგალითად ჩვენს რეგიონში ხშირია ქორწინების იძულების შემთხვევა და ამას ვითვალისწინებთ ხოლმე. ბრალდებული როდესაც ბავშვს ნივთად აღიქვამს, ამას ვითვალისწინებთ, ეს მიანიშნებს დანაშაულის განმეორებითობაზე.*

“ ***მოსამართლე:*** *საზოგადოებრივი აზრი ვერ გახდება კონკრეტული ბრალდებულის მიმართ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. მთავარია როგორი შთაბეჭდილება მაქვს კონკრეტული პირისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ. ამიტომ ეს გარე ფაქტორები ნაკლებად არის მხედველობაში მისაღები. რა თქმა უნდა თუ ისინი არ ახდენენ გავლენას ამ საფრთხეების შეფასებაზე. ხოლო, თუ საზოგადოებრივი დამოკიდებულება ამ კონკრეტულ ბრალდებულზე აისახება, მაგალითად, 16 წლამდე ქორწინების შემთხვევები ვახსენეთ და თუ ადამიანი ცხოვრობს იმ საზოგადოებაში, სადაც ეს კონკრეტული შეხედულებები მართლსაწინააღმდეგო, მისაღებია და მათ შორის ამ ბრალდებულისთვისაც მისაღებია და ამიტომ ეს ბრალდებული იღებს რა ამ შეხედულებებს, თვითონაც ამ შეხედულებების მიხედვით მოქმედებს და თუ ამის გამო ამ ბრალდებულისგან მომავალი საფრთხეები უფრო მაღალია, ამ შემთხვევაში შეიძლება მიღებული იქნას მხედველობაში.*

“ ***მოსამართლე:*** *მე ვითვალისწინებ პატიმრობის ინდექსსაც და სტატისტიკურ მაჩვენებლებსაც. ჩემი აზრით პატიმრობის ინდექსი და მაჩვენებლები ოჯახური დანაშაულების გამო გაიზარდა. ამ დროს პოლიტიკა არაა გადამწყვეტი, უბრალოდ ასეთი ტიპის დანაშაულების დროს საფრთხეა უფრო მაღალი და ამიტომ გიწევს პატიმრობის გამოყენება. სტამბული კონვენცია ყველაზე ვრცელდება, სასამართლოზეც და ამ დროს მთავარია საფრთხის დანახვა.*

“ ***მოსამართლე:*** *გარე ფაქტორია საზოგადოებრივი დამოკიდებულებაც. ეს არ უნდა გახდეს მოსამართლისთვის ერთადერთი გადამწყვეტი. ეს შეიძლება იყოს ძირითად პრინციპებთან დამატებითი ფაქტორები, თუმცა საზოგადოებრივი რეაქციის გამო იმ პირის პიროვნულ და საქმის მაჩვენებლებს ვერ გადაწონის. ის რომ მისი მეზობელი მანქანებს სისტემატურად პარავს სარკეებს, არ ნიშნავს რომ სხვისი დაპატიმრების შიშით მოხდეს ამ დანაშაულის პრევენცია. ეს უფრო სასჯელის მიზნებს მიემართება პრევენციის კონტექსტში, ვიდრე აღკვეთებს. არ მახსენდება გადაწყვეტილება, რომელიც ამ ფაქტორების გათვალისწინებით მიმიღია - მიმიღია არაპოპულარული გადაწყვეტილებაც.*

“ ***მოსამართლე:*** *პოლიტიკა ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღება აღკვეთის განსაზღვრის დროს. თუმცა ამ შემთხვევაში*

პოლიტიკა კი არ არის დასაბუთება, დასაბუთება არის განმეორებადობას მაღალი რისკი ამ შემთხვევაში. ცალსახაა, უმეტეს შემთხვევაში განმეორებადი და სისტემატიური ხასიათი აქვს და მსხვერპლის დაცვის მიზნიდან გამომდინარე, ხშირად, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე პრაქტიკაა, რომ აღკვეთის სახით პატიმრობა არ გამოიყენება - მაგალითად, ქურდობის პირველ და მეორე ნაწილზე პატიმრობას, როგორც წესი არ ვიყენებთ, თუ ძებნილი არ არის, მაგრამ ოჯახურ ძალადობასთან მიმართებაში დანაშულის განმეორებადობას საფრთხე რადგან მაღალია, აღკვეთის ღონისძიება ხშირად არის საპატიმრო.

მე ვფიქრობ, ეს კომპონენტია ის, რამაც გაზარდა პატიმრობის ინდექსი საქართველოში, რადგან სხვა კატეგორიის დანაშაულებზე, მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ქურდობა ყველაზე გავრცელებულია ოჯახური დანაშაულების შემდეგ, შეიძლება უსწრებს კიდეც, ამ შემთხვევაში პირველ და მეორე ნაწილებზე, სადაც პატიმრობა ჯამში ხუთი წელია, ძალიან იშვიათი შემთხვევაა პატიმრობის გამოყენების საკითხი თუ პირობითი მსჯავრის ქვეშ არ არის და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ორი ინტერვიუს დროს გამოიკვეთა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მოსამართლეს დაუნახავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროება ისეთი საფუძვლით, რომელსაც დღევანდელი საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს - თავად ბრალდებულის უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

> **მოსამართლე:** *არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რითიც განსხვავდება ჩვენი კანონმდებლობა ევროპული მიდგომისაგან, აღკვეთის ღონისძიებების საკითხებთან დაკავშირებით. არის ერთი საკითხი, რომელიც ჩვენ კოდექსში გათვალისწინებული არ არის, პატიმრობის შეფარების საფუძვლად. ეს არის როდესაც საზოგადოებისაგან მოდის საფრთხე ბრალდებულის მიმართ. ანუ ბრალდებულის დაცვის მიზნით აღკვეთის ღონისძიების შეფარდება. ეს შეიძლება ზოგადად აქტუალური არ იყოს, მაგრამ შეიძლება კონკრეტულ ვითარებაში გახდეს აქტუალური, მაგალითად სპეციფიკურ რეგიონებში, სადაც ადამიანებს თავიანთი წესები აქვთ, სახელმწიფოს მიერ მიღებული წესებისგან განსხვავებული. აი ასეთ ვითარებაში, შეიძლება ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ თვითონ ბრალდებულის სიცოცხლისათვის შეიძლება უმჯობესი იყოს იმ საზოგადოებისგან იზოლირება, სადაც ეს ქმედება მოხდა ან სადაც ის ცხოვრობს, რომელი საზოგადოებაც მტრულად არის განწყობილი ამ ქმედებების გამო. თუმცა რადგან ეს ვითარება ჩვენთან არ არის გათვალისწინებული კოდექსში, პატიმრობის საფუძველი ვერ გახდება. თუმცა რაღაც სპეციფიკურ მომენტებში, შეიძლება ფიქრის საფუძველიც გახდეს მოსამართლისათვის.*

აღკვეთის ღონისძიებების სახეების გაფართოების საჭიროება;

კვლევის პროცესში, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, გამოიკვეთა ერთი მხრივ არსებული აღკვეთის ღონისძიებების

მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების საჭიროება, ხოლო მეორე მხრივ აღკვეთის ღონისძიებების სახეების გაფართოების საჭიროებაც. ამავდროულად მოსამართლეთა მხრიდან დასახელდა აღკვეთის ღონისძიებების და დამატებითი ღონისძიებების პრაქტიკული აღსრულების მექანიზმების გამოწვევები და სხვა შემზღუდველი ფაქტორებიც.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ როგორც წესი, პრაქტიკაში ძირითადად მოსამართლეს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცესში არჩევანის გაკეთება უწევს გირაოსა და პატიმრობას შორის. როგორც წესი, როდესაც ბრალდების მხარე პატიმრობას ითხოვს, პირადი თავდებები არ არიან წარმოდგენილი სხდომის დარბაზში, გაუსვლელობის ხელწერილს ვერ იყენებს მოსამართლე, რადგან დანაშაულის კატეგორია არ იძლევა ამის საშუალებას და ერთადერთი არჩევანი რჩება გირაო. რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან რისკებს ქმნის. ამ შემთხვევაში შესაძლებელია პატიმრობის მაჩვენებლის შემცირებასა და ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყოს სხვა შეზღუდვებისა და დამატებითი ღონისძიებების, როგორც ძირითადი აღკვეთის ღონისძიების სახედ შემოღებამ. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსამართლეთა მხრიდან ხშირად ხდება ამ ვალდებულებების გამოყენება სხვა აღკვეთის ღონისძიებებთან ერთად და პრაქტიკაში იკვეთება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მათი გამოყენება შესაძლებელია გირაოს შეფარდების გარეშე და იგივე ისეთივე შედეგიანი იქნება როგორც დამოუკიდებელი ღონისძიებაც.

> “ ***მოსამართლე:*** *უმეტეს შემთხვევაში არჩევანი არის გირაოსა და პატიმრობას შორის, რაც ზღუდავს მოსამართლეს, რადგან არ აქვს ფართო არჩევანი. თუ მიიჩნევს, რომ რაღაც უნდა შეუფარდოს, ან გირაო ან პატიმრობა. ამ კუთხით ალბათ კარგი იქნებოდა გამრავალფეროვნება. კონკრეტულ ღონისძიებებს ვერ დაგისახელებთ, თუმცა საინტერესოა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199 მუხლში მითითებული გარემოებები, რომლებიც ამ მუხლის მიხედვით, გამოიყენება აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად. თუმცა თუ რაღაც შემუშავდება ისეთი, რომ ეს ღონისძიებები აღკვეთის ღონისძიებაზე არ იყოს მიბმული, მაგალითად მოსამართლეს შეეძლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენება აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ამან შეიძლება რაღაც კუთხით გაამრავალფეროვნოს აღკვეთის ღონისძიების სახეები. შეიძლება ვთქვათ არ შეუფარდო გირაო და პირდაპირ გამოიყენო რაღაც ვალდებულებები, რაღაც აკრძალვები. თუ ხედავ, რომ პირი სოციალურად დაუცველია, უძრავი ქონება არ აქვს, მატერიალური შესაძლებლობა არ აქვს, მაგრამ პატიმრობის აუცილებლობაც არ არის, მაგრამ ასევე ხედავ, რომ თუ რაღაცას არ დაუწესებ შეიძლება საფრთხეები არსებობდეს. ასეთ ვითარებაში, გამოსავალი არ არის დღევანდელი მდგომარეობით. აღკვეთის გარეშე რომ დატოვო რისკებია, გირაოს ვერ უფარდებ, იმიტომ რომ ეკონომიკური მდგომარეობა არ გაძლევს საშუალებას და უკვე გამოუვალი მდგომარეობა იქნება, ასეთი ვითარების გამოსწორება შეიძლება შესაძლებელი იყოს, თუ მიეცემა მოსამართლეს საშუალება, რომ ეს დამატებითი ვალდებულებები დააკისროს აღკვეთის ღონისძიების გარეშე ან პირდაპირ აღკვეთის ღონისძიების სახედ ან რაღაცა სხვა იქნეს მოფიქრებული, რომ შესაძლებელი იყოს აღკვეთის ღონისძიების გარეშე ამ ზომების გამოყენება.*

“ ***მოსამართლე:*** *მე მქონია პრაქტიკა, როდესაც დამატებით ღონისძიებად გამოვიყენე ელექტრონული მონიტორინგი, ბრალდებულს ავუკრძალე საზღვრის კვეთა და კონკრეტული სოფლიდან გასვლა. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ეს დამატებითი ღონისძიება, რომელსაც პრობაციის ბიურო აღასრულებს, თურმე მხოლოდ აკონტროლებს იმ ადგილიდან, სადაც მოწყობილობაა დამონტაჟებული 100 მეტრის რადიუსს, რაც პრობლემას ქმნის რეალურად. ამიტომ მნიშვნელოვანია არსებობდეს ტექნიკური შესაძლებლობა კონტროლის. მე ასეთ ჩიხში აღმოვჩნდი და დაზუსტება მომიწია გამოყენებული ღონისძიების. რაღაცა შემთხვევაში ყველას მიმართ ვერ გამოიყენებ, რესურსი არაა საკმარისი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მართლა არაა საჭირო პატიმრობა თუ ასეთი კონტროლის საშუალება გაქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზეც კი.*

“ ***მოსამართლე:*** *სასჯელების სახეები და ფორმები შეიძლება ჩვენ რაღაცნაირად ავსახოთ აღკვეთის ღონისძიებაში. მართალი გითხრათ მე ამას ისედაც ვაკეთებ ხოლმე, მაგრამ ვაკეთებ სხვა აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად. როდესაც მაგალითად გამოძიების ორგანოში რაღაც პერიოდულობით გამოცხადების ვალდებულებას ვაკისრებ გირაოსთან ერთად, ეს მაგალითად შესაძლებელი რომ იყოს გირაოს გარეშეც კარგი იქნება. იგივე, შინაპატიმრობასთან დაკავშირებით, იგივე რომ გადმოვიტანოთ აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე და რაღაც მონიტორინგი. მე მსგავსი რაღაც გამომიყენებია, მხოლოდ ელექტრონული მონიტორინგი არ იყო. გამომიყენებია, რომ ბრალდებულებისთვის შემიზღუდავს რაღაც ტერიტორიის, ქალაქის დატოვება ან უბნის, სახლის ან ა.შ. მაგრამ ესეც სხვა აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად გამომიყენებია. მაგრამ იმ შემთხვევაში გამოსავალი იყო ის, რომ ბრალდებულს ქონდა მატერიალური შესაძლებლობა, ან ქონება. ხომ შეიძლება არსებობდეს და იყო ასეთი შემთხვევები, როდესაც ხედავ, რომ ბრალდებულს არაფერი აქვს. არის ასეთი შემთხვევები, როდესაც სოციალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას, რომ გირაოს გამოყენება უპრიანი იყოს, ასეთ შემთხვევებს ავიცილებდით თავიდან თუ ის ყველაფერი რაზეც ვისაუბრეთ იქნებოდა პირდაპირ გამოყენებადი.*

“ ***მოსამართლე:*** *მე ყოველთვის იმის მომხრე ვარ, რაც უფრო მეტი არჩევანი ექნება მოსამართლეს. კი, ჩვენ დამოკიდებული ვართ კანონმდებელზე და კანონმდებელი რა ჩარჩოებსაც მოგვცემს იმ ჩარჩოებში ვმოქმედებთ, მაგრამ როგორც წესი კანონმდებელი ყველა შემთხვევას ვერ გაითვალისწინებს და ჩვებ იმისთვის ვართ, რომ ინდივიდუალურად შევაფასოთ ყოველი შემთხვევა, ასეთ დროს რაც უფრო ფართო არჩევანი გვექნება მით უკეთესი ღონისძიების გამოყენება იქნება შესაძლებელი.*

“ ***მოსამართლე:*** *კი, რა თქმა უნდა. უნდა გაფართოვდეს, ორი აზრი არ არის. დამატებით ღონისძიებებში რაც არის მოცემული კოდექსში, იქიდან ცალ-ცალკე დამოუკიდებელ აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების შესაძლებლობაც რომ იყოს ძალიან კარგი იქნება. მათ შორის ელექტრონული მონიტორინგი. ეს მოსამართლეებისთვის არის ძალიან ხელმიუწვდომელი რაღაც. ეს იქნება მართლა ალტერნატივა, რომ პატიმრობა არ გამოიყენო. იგივე პოლიციის*

ორგანოებში გამოცხადება, ცალკეც რომ იყო შესაძლებელი კარგი იქნებოდა. უფრო მეტად სადაც გირაო არ გინდა შეუფარდო.
არის შემთხვევები, როდესაც გირაო არ გინდა რომ შეუფარდო და არც აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას თვლი მიზანშეწონილად. რეალურად მანდაც გირაოს იყენებ ძალიან მცირე ოდენობით, იმისთვის რომ ვალდებულება დააკისრო. ისე ვალდებულებას ვერ აკისრებ. რომ იყოს შესაძლებლობა გამოიყენებდი თავისუფლად.

“ ***მოსამართლე:*** *ვფიქრობ შესაძლებელია არსებობდეს მონიტორინგის სხვა ალტერნატიული ფორმა, მაგალითად რაღაც პრობაციის მსგავსი მექანიზმი რომ იყოს. ან რაღაც ორგანო, რომელიც პერიოდულად, ან გამოცხადების ვალდებულებას ან რამე მსგავსს გააკეთებს. ეს დამატებით ვალდებულებებშიც შეგიძლია ჩაუწერო, შეგიძლია გამოცხადება დაავალო, მქონია ისეთი შემთხვევაც, როდესაც დაზარალებულთან კომუნიკაცია და მიახლოება ამიკრძალავს, მათ შორის სოციალური ქსელით კომუნიკაციაც. ყოფილა სასამრთლოში გამოცხადების ვალდებულება დამიკისრებია. ეს ბრალდებულები არ ცხოვრობდნენ თბილისში და 2 კვირაში ერთხელ, პარასკევს გამოცხადებულიყო და ჩემი თანაშემწე ჩადიოდა და ოქმს ადგენდა რომ გამოცხადდა. ესეც დამატებითი მექანიზმი იყო, რომ მას პასუხისგებლობა ეგრძნო, მას ვიღაცა აკონტროლებს.*
იგივე ელექტრონული სამაჯურიც შესაძლებელია. ჩვენთან, ერთ-ერთი გახმაურებული საქმის გარდა არცერთი შემთხვევა არ მახსენდება, როდესაც ელექტრონული სამაჯური როგორც დამატებითი ღონისძიება ისე იყო გამოყენებული. თუმცა ესეც შესაძლებელია. თუმცა ეს შეიძლება დიდ რესურსთან იყოს დაკავშირებული და ამიტომ ეფექტურად ამის გამო ვერ გამოიყენება მაინდამაინც.

“ ***მოსამართლე:*** *გაფართოების საჭიროება დამინახავს, არჩევანი ზოგჯერ საერთოდ არ გაქვს. ხედავ რომ ამ ადამიანს აღკვეთის ღონისძიება ჭირდება, მაგრამ მაინცდამაინც პატიმრობა არა. მხარე მეუბნება, რომ გირაო შეუფარდე 100 ლარი და ვატყობ, რომ 100 ლარი ვერანაირად ვერ იქნება რეალური შემაკავებელი, იქნება სიმბოლური, თუმცა ალტერნატივაც არ მაქვს. ძალიან იშვიათად არის დარბაზში პირი, რომელიც იძახის, რომ მე ვიღებ პასუხისმგებლობას და წინაპირობები არ არის ხოლმე და რეალურად არაფერი არ გრჩება. ან საერთოდ უნდა გაათავისუფლო აღკვეთიდან ან უნდა დატოვო პატიმრობაში. მანდ უკვე აფასებ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი უფრო რელევანტურია. შეიძლება დატოვო პატიმრობაში, იმიტომ რო რეალურად სხვა ალტერნატივა არც გქონდეს. ან უფარდებ გირაოს და იცი რომ ფორმალურია და ზუსტად იცი რომ ვერ გადაიხდის. ესეც არა მგონია რომ სწორი მიდგომა იყოს.*

“ ***მოსამართლე:*** *შემაკავებელი ღონისძიებების გაფართოება და მოფიქრება არის საჭირო. არავის ეხალისება პატიმრობის გამოყენება, სახელმწიფო ბიუჯეტის ფლანგვაც, რატომ უბრალოდ, როცა შეიძლება უფრო კარგ რაღაცას მოხმარდეს. რაღაც სხვაც უნდა იყოს, მოსამართლეს უნდა მისცე შესაძლებლობები. ხშირად*

მიჩევს ხოლმე საერთაშორისო შეხვედრებზე და კონფერენციებზე დასწრება და მონაწილეობა და იქ ერთ ერთმა ამერიკელმა მოსამართლემ გაგვიზიარა, ჩამონათვალი შეზღუდვების, საიდანაც არჩევს საჭირო შეზღუდვებს და ეს არის აღკვეთის ღონისძიებაო. ძალიან სწორია ეს მიდგომა.
სერვისები რა არის საქართველოში ისიც კი არ ვიცით მოსამართლეებმა რომ დაავალო. ზოგჯერ შეიძლება ბრალდებულისთვის საჭირო იყო ამ ეტაპზევე რაღაც პროგრამის გავლის დავალება და არა განაჩენით დაკისრება, ანუ სასამრთლო განხილვის ეტაპზევე ვთვლი, რომ საჭიროა. ამ რისკებს ვხედავ და ამიტომ ვიღებ პატიმრობის გამოყენების გადაწყვეტილებას, მაგრამ რადგან დასაბუთებული ვარაუდი არსებობს, მე შეიძლება ჩავთვალო რაიმე ტიპის პროგრამის დავალდებულება საჭიროდ და თუ ბრალდებული თანახმა იქნება მაშინ პატიმრობის გადაწყვეტილებაც შეიცვლება.
სერვისი საერთოდ არაფერი არ არის, ვლაპარაკობთ, ვლაპარაკობთ და არაფერი არ იქმნება იმისთვის, რომ შენ რეალური ალტერნატივა დაინახო.

- ***მოსამართლე:*** *არი შემთხვევა როდესაც ადამიანის იზოლირება საერთოდ არ არის საჭირო, მაგრამ ადამიანს არ აქვს შესაძლებლობა, რომ გირაო გადაიხადოს. ან რაღაცით საჭიროა ადამიანის ქცევის შეზღუდვა, მაგრამ პრაქტიკულად ვერ იყენებ ვერცერთ ღონისძიებას. მაგალითად ოჯახური ძალადობის საქმეებზე, როდესაც ჩვენ ვხედავთ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს ან დაზარალებულზე ზემოქმედების საფრთხეს. არც ისეთი არაა საფრთხე, რომ აუცილებელი იყოს პატიმრობის გამოყენება. მაგრამ ვთქვათ ბრალდებული ცდილობს შეურიგდეს დაზარალებულს, რომელსაც არ უნდა შერიგება. შეიძლება გირაო არ იყოს საკმარისი, მაგრამ არც პატიმრობა იყოს საჭირო. როდესაც ელექტრონული მონიტორინგი იქნება, აი ეგ პრევენციას უფრო ეფექტურად მოახდენს სახელმწიფო. თან უფრო ნაკლებ ხარჯებთანაც იქნება ეს დაკავშირებული. იმიტომ რომ გირაოს შეიძლება ჰქონდეს ე.წ. შეფარული პატიმრობის საფრთხე. ამაზე არაერთი სტრასბურგის გადაწყვეტილებაა, ჩვენ რომ ვიცით წინასწარ რომ ადამიანი ვერ გადაიხდის გირაოს და შესაბამისად აღმოჩნდება მერე პატიმრობაში და რადგან ეს საფუძველია შეცვლის. ესეთი რისკები რომ დავაზღვიოთ ამიტომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მეტი ალტერნატივა. იგივე შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შეახებ, ზოგჯერ ძალიან ეფექტურია ხოლმე.*

- ***მოსამართლე:*** *მე გირაოსთან ერთად დამატებით ღონისძიებებსაც ვიყენებ ხოლმე, მაგალითად როგორიც არის პროკურორის ნებართვის გარეშე დაზარალებულთან ნებისმიერი კომუნიკაციის აკრძალვა. მაგალითად პროკურორისთვის პირადობის მოწმობის და პასპორტის ჩაბარება, რომელიც მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების და მიმალვის პრევენციას უზრუნველყოფს. მაგალითად შეიძლება პირს დაუწესო ალკოჰოლური სასმელის მიღების აკრძალვა რაღაც პერიოდი და შეიძლება დაუწესო პროკურორთან და გამომძიებელთან გამოცხადების და ანგარიშგების ვალდებულება. ანუ გამოდის რომ მისი არსი ბოლო რაც ვთქვი იგივეა რაც შეთანხმება გაუსვლელობის და სათანადო ქცევის შესახებ. მაგრამ ამას*

დამოუკიდებლად ვერ იყენებ თუ ეს შეზღუდვა სახეზეა და თუ ეს შეზღუდვა მოიხსნება და იმ დანაშაულების არეალი გაფართოვდება ალტერნატივას შეიქმნება.
ესეთი შეიძლება იყოს შინაპატიმრობის მსგავსი რაიმე შეზღუდვა, გარკვეულ დროსა და ადგილებში მისვლის შეზღუდვა. სახლიდან გამოსვლის შეზღუდვა და გარკვეულ ადგილას მისვლის შეზღუდვა. ასევე გავამარტივებდი პირადი თავდებობის გამოყენებას. წინასწარ რაღაც დოკუმენტაციის წარდგენას რაც უკავშირდება ამას გავამარტივებდი.

პანდემიის გავლენა აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე;

პანდემიის გავლენის კუთხით ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების საკითხზე კოვიდ19-ის გავრცელებას ფაქტობრივად პირდაპირი გავლენა არ ჰქონია ან ძალიან მცირედად. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იკვეთება, რომ პანდემიამ ირიბად იმოქმედა საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე, რადგანაც ამ პერიოდში მოქმედებდა მკაცრი შეზღუდვები და მოქალაქეთა თავისუფლება ამის ფონზე ისედაც შეზღუდული იყო. უმეტესწილად იკვეთება, რომ პანდემიამ გავლენა იქონია აღკვეთის ღონისძიებების განხილვის პროცედურულ ნაწილზე, განხილვებისა და პროცესების ჩატარების საკითხებზე. კვლევის დროს, აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკაზე პანდემიის მცირე გავლენის ძირითადად მიზეზად დასახელდა პენიტენციური სისტემის ფარგლებში დაავადების გავრცელების დაბალი მაცვენებელი და სამედიცინო კუთხით კარგად მართული პროცესები.

- ***მოსამართლე:*** *ვფიქრობ, რომ პანდემიის პერიოდში შემცირდა ჩემი მხრიდან პატიმრობის გამოყენება. ეს ის ვითარება იყო, როდესაც გარკვეულწილად კონტროლდებოდა ყველაფერი, მათ შორის მიმოსვლაც და მიმალვის საფრთხე ამან თავისთავად შეამცირა. ამიტომ მიმალვის საფრთხის საფუძველზე პატიმრობის შემთხვევები შემცირდა, რადგან ადამიანი სახლიდან ვერ გადიოდა გარეთ, რადგან ასეთი ვითარება იყო შექმნილი, რომ ფაქტობრივი შესაძლებლობები მოესპო მიმალვის, ამან გავლენა იქონია. ასევე მოესპო დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობაც. მოწმეებზე ზემოქმედებისაც, რადგან ფაქტიურად ყველა ჩაკეტილი იყო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე პატიმრობები შემცირდა. ჩემი აზრით გაამართლა კიდეც ამ მიდგომამ, რადგან არ მსმენია, რომ ამ კუთხით რაიმე დამატებითი პრობლემა შექმნილიყო, სტატისტიკით რამდენად დადასტურდება არ ვიცი, მაგრამ განწყობა ასეთი მაქვს რომ ასე უნდა ყოფილიყო.*

- ***მოსამართლე:*** *ზუსტად იგივენაირად ვიყენებდი პანდემიაშიც. არ ჰქონია მაგას ჩემთვის მნიშვნელობა. ერთადერთი გავლენა რაზეც შეიძლება მოეხდინა, იყო ის, რომ რაღაც საფრთხეები შემცირდა. მაგალითად როცა საზღვრები დაკეტილი იყო და ბრალდების მხარე რომ აპელირებდა მიმალვაზე, ვუწერდი, რომ პანდემიის გამო საზღვრები ჩაკეტილია და მიმალვის საფრთხე შემცირებულია.*

“ ***მოსამართლე:*** *საფუძვლები ერთი და იგივეა, გასაგებია, რომ რთული მდგომარეობა იყო, მაგრამ არ ვფიქრობ რომ რაიმე განსაკუთრებული გამოწვია ამ პერიოდმა. გარდა იმისა, რომ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები გვერთვებოდნენ დისტანციურად.*

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში პენიტენციურ სისტემაში აფეთქებებიც არ ყოფილა და ძალიან კარგად მართეს ეს პროცესი. მაგრამ ეს იმით დაიცვეს, რომ ფაქტიურად არავინ არ მოყავდათ სასამრთლოში. ბრალდებულებს ზოგჯერ უნდოდათ, რადგან დარბაზში ვიღაცას ნახავს, დაინახავს თავისიანს ესეც კი რაღაცას ნიშნავდა მათთვის. ზოგჯერ ითხოვდნენ იქნებ დარბაზში ჩაგვიტაროთ სხდომაო.

დახურულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც პრობლემა ასე არ დამდგარა, ალბათ ზუსტად იმით, რომ მაქსიმალურად იზოლაცია მოხდინეს. მე როგორც ვიცი თანამშრომლებიც კი რაღაც პერიოდი ღამეც იქ რჩებოდნენ, განსაკუთრებულ რეჟიმში იყვნენ, რომ მაქსიმალურად შეეზღუდათ ვირუსის შეღწევა სისტემაში. ამიტომ ამას არ გამოუწვევია საჭიროება, რომ რაიმე დამატებითი საშეღავათო ღონისძიებები შემოეღოთ.

“ ***მოსამართლე:*** *მიდგომები არ ყოფილა განსხვავებული, თუმცა განხილვის ფორმები იყო სხვა. დისტანციურად ხდებოდა განხილვა და პროცესების ჩატარება. ვითვალისწინებდით რას თუ ადამიანს ჰქონდა კოვიდ ვირუსი შეიძლება მის გარეშე განგვეხილა. ამ შემთხვევაში არის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, რომელსაც ვერ გადაწონის კოვიდის პრობლემა. პენიტენციურ დაწესებულებაშიც შექმნილი იყო შესაბამისი პირობები. დისტანციურად შესაძლებელი იყო განხილვა.*

სასჯელების გამოყენების პრაქტიკა და გამოწვევები

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი საკვანძო გამოწვევები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკაზე. ანალიზისას წამოწეული ფაქტორები და გამოწვევები აღწერილი და პირობითად დალაგებულია შემდეგ ძირითად თემატურ მიმართულებებად: სასჯელების გამოყენების პრაქტიკა და გამოწვევები; არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა და ძირითადად გამოყენებული სასჯელის სახეები; სასჯელების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების განმაპირობებელი

ძირითადი ფაქტორები; სასჯელების აღსრულების პროცესის გავლენა სასჯელის დანიშვნაზე; არსებული საკანონდებლო გამოწვევები; სასჯელების სახეების გაფართოების საჭიროება; პანდემიის გავლენა სასჯელების გამოყენებაზე;

არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა და ძირითადად გამოყენებული სასჯელის სახეები;

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ყველა მოსამართლეს, ვისთანაც ინტერვიუ ჩატარდა სასჯელების გამოყენების საკითხზე უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში აქვს როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა. იკვეთება, რომ არასრულწლოვნების შემთხვევაში, უფრო ხშირია არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკა. ხოლო, რაც შეეხება სასჯელების სახეებს, იკვეთება, რომ პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება - პირობითი მსჯავრი[2], თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა, სხვა სასჯელების გამოყენების პრაქტიკა შედარებით მწირია, რასაც რესპოდენტები სხვადასხვა ფაქტორით ხსნიან.

> “ ***მოსამართლე:*** *კი, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში გამომიყენებია, არასაპატიმრო სასჯელი, დღესაც გამოვიყენე. გამომიყენებია ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, შინაპატიმრობა. დამატებითი სასჯელები, გამომიყენებია ძირითად სასჯელებთან ერთად.*
> *სულ რამდენიმე სასჯელი არის, რომელიც არასოდეს გამომიყენებია. მაგალითად გამასწორებელი სამუშაო არის ასეთი. მართალი გითხრათ ამ სასჯელის არსებობის მიზანსაც ვერ ვხედავ, როდესაც ჯარიმა არსებობს, ცოტა ბუნდოვანი არის და არ ვიცი საერთოდ ვინმეს თუ აქვს გამოყენებული.*
> *სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა არ გამომიყენებია, იმიტომ რომ არ მქონია ეს ვითარება სამხედრო პირთან.*
> *და უვადო თავისუფლების აღკვეთა არ გამომიყენებია.*
> *დანარჩენი ყველა სასჯელის დანიშვნის პრაქტიკა მაქვს.*

> “ ***მოსამართლე:*** *უფრო ხშირად და ძირითადად ვიყენებ არასაპატიმრო სასჯელებს და პირობითი მსჯავრი არის ყველაზე ხშირი. მსჯავრდებულების მხრიდან მოთხოვნადიც მათ შორის, რადგან სასჯელის დანიშვნის სხდომაზე, როდესაც მხარეები პოზიციებს აფიქსირებენ, მათ შორის ისეთ დანაშაულებზე, სადაც შინაპატიმრობა უნდა გამოვიყენოთ, ითხოვენ შინაპატიმრობის გამოყენებას პირობითად.*
> *თავიდან იყო ისეთი დამოკიდებულება, რომ პირობითი მსჯავრი არის თავისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებული. მაგრამ მოგვიანებით რომ დაინიშნა სხვა სასჯელებზეც, მათ შორის შინაპატიმრობაც ჩაითვალა პირობითად, უკვე იციან ძალიან კარგად და ამასაც შუამდგომლობენ ხოლმე. მაგრამ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარეა განსასაზღვრი.*
> *სხვათა შორის შინაპატიმრობის ჩათვლა პირობითად უფრო გახშირდა მას შემდეგ, რაც შემოვიდა შუამდგომლობები და ითხოვდნენ შინაპატიმრობის*

---

[2] ამ თავისა და კვლევის ანგარიშის მიზნებისათვის, პირობითი მსჯავრი მიჩნეულია როგორც არასაპატიმრო სასჯელი და რესპოდენტებთანაც კითხვების დასმის პროცესში განმარტებული იქნა, რომ კვლევის მიზნებისათვის პირობითი მსჯავრი მოიაზრება არასაპატიმრო სასჯელის სახედ.

თავისუფლების აღკვეთით შეცვლას, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ 5000 ლარიანი დეპოზიტი ვერ შეავსო მსჯავრდებულმა და დარღვევად უთვლიდნენ. მერე ეს გამოსავალი ვიპოვეთ, რომ რადგან ყველას არ აქვს შესაძლებლობა, რომ ეს თანხა დადოს დეპოზიტზე, პირობითად ვუთვლიდით ხოლმე. ყოფილა რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაც შეგვიცვლია პირობითი მსჯავრით.

“ ***მოსამართლე:*** *არასაპატიმრო სასჯელების სახეებიდან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და ჯარიმა. ყველა უფრო გამოყენებადი სასჯელებია. პირობით მსჯავრსაც თუ ჩავთვლით ძალიან ხშირად ვიყენებ.*
თავისუფლების აღკვეთასაც მე პირადად ვიყენებ მაშინ, როდესაც ეს ადამიანი საზოგადოებისათვის წარმოადგენს საფრთხეს და სასჯელის მიზნებს თავისუფლების აღკვეთის გარეშე ვერ ვაღწევ. ადამიანის წასვლა ციხეში ყველა შემთხვევაში არის უბრალოდ ძალიან არასწორი მიდგომა. ერთი მხრივ სახელმწიფოს უჯდება ძალიან ძვირი ამ ადამიანის შენახვა, როდესაც შეიძლება საერთოდ არ იყოს საჭირო და მერე მეორე მხრივ ყველაზე ძვირფასს ვართმევთ ადამიანს, თავისუფლებას. შეიძლება, ამით სასჯელის მიზანს კი არ მივაღწიოთ, პირიქით, უარესი შედეგები გამოვიწვიოთ. ამიტომ პირობით მსჯავრსაც, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ჯარიმას ვიყენებთ აქტიურად. ეს სამი სასჯელია ძირითადად.

შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მოსამართლეები პრაქტიკაში კიდევ უფრო მეტია არასაპატიმრო სასჯელების წილი მათ მიერ განხილულ საქმეებში.

“ ***მოსამართლე:*** *ჩემი კატეგორიის საქმეებში, რასაც არსებითად ვიხილავ, ჩემი პრაქტიკით 80% უფრო მაღალიც შეიძლება იყოს არასაპატიმრო სასჯელები. საპატიმრო სასჯელს ვიყენებ უკიდურეს შემთხვევაში. რადგან არასრულწლოვნების საქმეებს ეხება დანაშაულის სიმრავლის მიუხედავად, ეპიზოდების სიმრავლის მიუხედავად და განაჩენთა არსებობის და სიმრავლის მიუხედავად, თუკი სახეზე გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა. ასეთ შემთხვევაში ვიყენებ არასაპატიმრო სასჯელს ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე. მძიმე დანაშაულზეც კი ყოველთვის პირველ შემთხვევაზე არ მახსენდება თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მქონდა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ან მკვლელობის მცდელობა, ანუ ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ცოტა მძიმე შედეგით. შესაძლებელია დაზარალებული იყო ცოცხალი, მაგრამ ხანგრძლივი მკურნალობა ან გრძელვადიანი შედეგი მოყვა ან თვითონ დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე მოგვიწია გამოყენება. ძალიან მწირია ჩემი პრაქტიკა თავისუფლების აღკვეთებს დანიშვნასთან მიმართებაში, გარდა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო შემთხვევებისა.*

“ ***მოსამართლე:*** *არასაპატიმრო სასჯელებს ძალიან ხშირად ვიყენებ. არასრულწლოვნების შემთხვევაში, თუ პირველი შემთხვევაა და ნაკლებად მძიმე დანაშაულია, ისედაც არ შეიძლება თავისუფლების აღკვეთა რომ დაინიშნოს სასჯელის სახით. ასეთი ტიპის დანაშაულებზე ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ინიშნება, ან შინაპატიმრობა ან ხდება ამათი დანიშვნა და შემდეგ პირობითად ჩათვლა. მაგრამ უფრო ხშირი არის დანაშაულთა ერთობლიობა და იქიდან ერთი მაინც არის ხოლმე მძიმე დანაშაული. მე მაგალითად ესეთ ხერხსაც მივმართავ, კოდექსის 50 მუხლი რომ არის ის ითვალისწინებს სასჯელის ნაწილის პირობითად ჩათვლის საკითხს, მაგრამ აქვს გარკვეული დათქმები. მე ჩემეული მიდგომა დავნერგე, ეს ასე კონკრეტულად არსად წერია, მაგრამ არასრულწლოვანთა შემთხვევაში ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულზე სრული პირობითის გამოყენება შეგიძლია მიუხედავად იმისა აღაირებს თუ არა პირი და თუ არ არის ნასამართლევი. როცა ეს მოცემულობა მაქვს, როდესაც პირობითი გამოყენებაც შემიძლია სრულად და 50-ე მუხლისაც, იქ უკვე 50-ე მუხლის შეზღუდვას აღარ ვიღებ მხედველობაში. რადგან მაქვს უფლება, რომ მთლიანი პირობითიც გამოვიყენო და ნაწილობრივი ან მთლიანი თავისუფლების აღკვეთაც, მე თვითონ ვადგენ ოდენობას, რამდენი იყოს რეალური და რამდენი პირობითი. 10მდე შემთხვევაში მექნება ასეთი სასჯელი მეტი თუ არა. ესეც იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან ბევრი ეპიზოდია და პირობითი მსჯავრი სრულად შეიძლება არ იყოს ეფექტური, ბავშვი ვერ აღიქვამს ამას სასჯელად და უფრო ხშირად მინიმალურ სასჯელს, 6 თვე ვუსაზღვრავ ხოლმე რეალურად და დანარჩენს პირობითად. ან ყოფილა, განხილვის პერიოდში, კიდევ რამდენიმე ბრალდება წაუყენეს, უკვე ახალი დანაშაულის ბრალდებით ამ ბავშვს და გამოიკვეთა, რომ კიდევ აგრძელებდა დანაშაულებრივ საქმიანობას და ცოტა შემაკავებელი რომ იყო ასე ვიყენებ.*

სასჯელების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები;

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ სასჯელის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მქონე ფაქტორები ძალზე მრავალფეროვანია. ეს გარემოებები პირობითად შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფად:

კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული ფაქტორები - როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სანქცია კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში, სასჯელის დანიშვნის წესი, რომელიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსითა თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, აგრეთვე საკანონმდებლო შეზღუდვები, სასჯელის მიზნები და სხვა.

ქმედებასთან და ხასიათთან დაკავშირებული ფაქტორები, მაგალითად როგორიცაა ქმედების ხასიათი, ფორმა, ადგილი და სხვა.

მსჯავრდებულის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტორები, ისეთი როგორიცაა მისი ასაკი, სქესი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხანდაზმულობა, შშმ სტატუსი, ორსულობა, კმაყოფაზე მყოფი და დამოკიდებული პირები და სხვა.

სხვა ფაქტორები, რომელიც პირდაპირ კავშირში არაა ქმედებასთან, თუმცა შესაძლოა გავლენა იქონიოს სასჯელის განსაზღვრაზე, როგორიც შეიძლება იყოს კრიმინოლოგიური ვითარება, სისხლის სამართლის პოლიტიკა, სტატისტიკური მაჩვენებლები და სხვა.

სასჯელის აღსრულების პრაქტიკულ პროცესთან დაკავშირებული ფაქტორები, როგორიც შეიძლება იყოს სასჯელის აღსრულების პროცესის სპეციფიკა, არსებული რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის სერვისები და სხვა.

თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სასჯელის აღსრულების პროცესზე და ინდივიდუალურ შემთხვევებში ხშირად განმსაზღვრელი ხდება სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლის გადაწყვეტილებისათვის.

> “ ***მოსამართლე:*** *თავისუფლების აღკვეთა არის ბოლო შესაძლებლობა, როდესაც გამორიცხავ ყველა სხვას. ეს კანონის მოთხოვნაც ეს არის, უნდა დაიწყო ყველაზე მსუბუქიდან და თუ არ დააკმაყოფილებს შემდეგ გადადიხარ უფრო მძიმეზე და ა.შ. ესეთია ჩემი მიდგომა. დანარჩენი უკვე კონკრეტულად რომელ სახეს გამოიყენებ, იმდენად კომპლექსურია, რომ ძნელია ასე ახსნა. აქ სასჯელის მიზნებიც უნდა გაითვალისწინო და ისინიც ისეთი ურთიერთდაპირისპირებულია, ერთი მხრივ, სამართლიანობის აღდგენა, მეორე მხრივ კერძო პრევენცია, სამე მხრივ რესოციალიზაცია. როგორც წესი ძალიან რთულია ამ სამის ისე შეჯერება, რომ რაღაცა ოქროს შუალედი და ოპტიმალური ბალანსი იპოვო.*

> “ ***მოსამართლე:*** *სასჯელის შეფარდებისას მოსამართლე ხელმძღვანელობს ბევრი ფაქტორით, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მისი წარსული, მისი ქმედება დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მასსა და დაზარალებულს შორის არსებული ფაქტორები, დაზარალებულის პოზიცია, თვითონ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარება და ეს აღიარება რამდენად გულწრფელია, ბევრი ფაქტორია. დანაშაულში გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, ხანდახან ისეთი სისასტიკითაა ჩადენილი დანაშაული, შეიძლება რეაბილიტირებული მოგეჩვენოს ბრალდებული, მაგრამ არ შეიძლება იყო ლმობიერი. მაგრამ მქონია საქმე როდესაც მკვლელობის დროს, არასრულწლოვნის შემთხვევაში, მინიმუმს ქვემოთ ჩამოვედი და მინიმუმზე ნაკლები შევუფარდე იმიტომ რომ შემამსუბუქებელი გარემოებების მთელი კასკადი იყო საქმეში.*

> “ ***მოსამართლე:*** *სასჯელების განსაზღვრის დროს ჩვენ შეზღუდული ვართ საკანონმდებლო მოცემულობით. თუ საპროცესო შეთანხმების გამოყენების დროს მეტი თავისუფლება აქვს ბრალდების მხარეს, მოსამართლე შეზღუდულია კანონში მოცემული სასჯელებით. რაც მეტი სასჯელი იქნება*

მოცემული თითოეულ მუხლთან მიმართებით, მეტი თავისუფლებაც გვექნება. ძალიან მნიშვნელოვანია თავად ქმედების ხასიათი, რადგან კანონი შეიძლება იძლეოდეს არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების საშუალების, მაგრამ არ გამომიყენებია იგი. მაგალითად, ძალადობრივი ხასიათის დროს- ძარცვის შემთხვევაში, როგორ გამოიხატა ეს ძალადობრივი ქმედება, დანაშაულის ჩადენის შემდეგ როგორ მოიქცა [მქონდა შემთხვევა, რომ წაართვა ნივთი, შემოუტრიალდა და დანის გამოყენებას ჰქონდა ადგილი], ასევე, ნივთის დაზიანების შემთხვევაში - როგორ აზიანებს ამ ნივთს, რა საშუალებით, რა ხერხით [მაგ., მქონდა შემთხვევა, პოლიციის განყოფილებას ძალიან დიდი მოცულობის ქვა ესროლა, იმ პერიოდში, როდესაც განყოფილება სავსე იყო ხალხით. ზიანის ღირებულება იყო მინის ღირებულება, მაგრამ დავარდა ერთ-ერთი პოლიციელის სამუშაო მაგიდაზე და იგი შემთხვევით გადარჩა], მნიშვნელოვანია ქმედების განხორციელების ხერხიც და ამ ქმედების ხასიათიც.

მნიშვნელოვანია ასევე პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტორები; ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი [საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე უფრო ვიღებ მხედველობაში ვიდრე სექსუალური ხასიათისაზე]. კმაყოფაზე მყოფი პირი - აქ საინტერესოა რითი არჩენს პირს, თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედებით არჩენს, იგი არ მიიღება მხედველობაში, მაგრამ თუ მას აქვს სამსახური და დანაშაული სამსახურთან არ არის დაკავშირებული, მიიღება მხედველობაში. განსაკუთრებით მცირეწლოვნების და არასრულწლოვნების [შემთხვევაა საინტერესო] - ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებას ვაკეთებ - ქალბატონების [შემთხვევას უფრო დიდ ყურადღებას ვაქცევ], თუ მარტოხელა მამა არ არის.
სტატისტიკურ მდგომარეობას გამოვრიცხავ, რადგან მე როგორც მოსამართლე არ ვეცნობი სტატისტიკას, ეს აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა.. არ მიდევს სტატისტიკა და არ ვითვლი საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელები, არც ჩემს მიღებულ გადაწყვეტილებებს ვახარისხებ და არ ვითვლი, რადგან სასჯელი უნდა იყოს ინდივიდუალური. სასჯელის ინდივიდუალიზაცია მნიშვნელოვანია, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება გაითვალისწინო გარემოება, რამდენად გავრცელებადია ესა თუ ის დანაშაული და თუ გავრცელებადია, წინარე პერიოდში გამოყენებულმა სასჯელებმა მოგვცა თუ არა შედეგი. გავრცელებადობაში ვგულისხმობ განმეორებითობადობას. ეს არის ჩემთვის საფუძველი, რომ მის მიმართ გამოვიყენო უფრო მკაცრი სასჯელი, რადგან ლმობიერმა სასჯელმა ვერ გამოიღო შედეგი და კანონის პატივისცემის შესისხლხორცება ვერ მოხდა.
ხშირად ვსაუბრობთ, ოჯახურ ძალადობაზე სახელმწიფოს აქვს მკაცრი პოლიტიკა და [ისმის ხოლმე კითხვა], ვართ თუ არა მოსამართლეები ამ პოლიტიკის თანამოაზრეები. გულწრფელად რომ ვთქვათ, ვართ თანაზიარი, თუმცა არა იმიტომ რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გამოაცხადა რომ მე სურვილი მაქვს მკაცრად ვებრძოლო ამ დანაშაულს - არა. ამის საჭიროებას ჩვენც ვხედავთ, რადგან ადრეულ წლებში მიდგომამ დაგვანახა, რომ უმოქმედობამ შეიძლება მიგვიყვანოს ფემიციდამდე. საუბარია ბოლო 5 წელში მიდგომა, შეიძლება მეტიც, ქმედითია - ყველა უწყება მომართულია ამ დანაშაულის

წინააღმდეგ. ამიტომ, ჩვენც ვიაზრებთ და ვიყურებით მხოლოდ აქედან გამომდინარე, რომ ჩვენც ამ საზოგადოების ნაწილი ვართ და არა იმიტომ, რომ ჩვენ აღმასრულებელი ხელისუფლების ნება იყო.

სხვა მაგალითი რომ ვთქვათ - კიბერდანაშაული, რომელიც აშკარად ფეხს იკიდებს საქართველოში და ეს დავინახეთ კოვიდის პერიოდში, რომ მოქალაქეები, რომლებმაც არ იციან, რა საფრთხე შეიძლება იყოს, მარტივად შედიან ნდობაში მიმზიდველი რეკლამის გამო. ეს გვაჩვენებს რომ საწყისი ეტაპიდანვე გვჭირდება აშკარა ბრძოლა ამის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ამ ტიპის დანაშაულის მიმართ, დაზარალებული მეტია, უფრო მკაცრი მიდგომა გვქონდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ეს განაპირობებს ჩემს ინდივიდუალურ განსახილველ შემთხვევას - ყველა შემთხვევას სჭირდება ინდივიდუალური განხილვა.

რომ შევაჯამო, პოლიტიკის გააზრება ხდება არა იმიტომ რომ დირექტივა მოდის აღმასრულებელი ხელისუფლებიდან, არამედ იმიტომ რომ ამის საჭიროებას სასამართლო ხელისუფლება ხედავდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალიზაციის იდეა დაკარგო სასჯელის განსაზღვრისას. უბრალოდ საფრთხეებს უფრო მეტად შეაფასებ. თუმცა მე იმაშიც ვერ ვხედავ პრობლემას რომ თანაზიარი იყოს სასამართლო ხელისუფლება აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმასრულებელი ვერ იქნება ქმედითი ნებისმიერ დანაშაულთან ბრძოლაში, თუ სასამართლომ გარკვეულ შემთხვევაში არ გაიზიარა. მაგრამ კიდევ ვიმეორებ - ეს არ ნიშნავს შაბლონს, ეს არ ნიშნავს ინდივიდუალიზაციის გამორიცხვას. ხშირად, კოლეგები ვსაუბრობთ, რომ არასაპატიმრო სასჯელი უფრო ქმედითია, ვიდრე საპატიმრო - ბრალდებულს უფრო მეტად ეშინია არ მოხვდეს პენიტენციურ დაწესებულებაში და ასრულებს, ვიდრე იმას, ვინც უკვე მოხვდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრა. შეიძლება განმეორებადობა უფრო ხშირი იყო საპატიმრო სასჯელის გამოყენების დროს და მეც მქონია შემთხვევა, გამოსვლიდან იმავე დღეს ახალი ეპიზოდი ჩაუდენია. ამ კუთხით, მხოლოდ საპატიმრო სასჯელი არ არის საკმარისი. აუცილებელია, ამ მიმართულებით ბრძოლა თუ გვინდა, მოძალადეებისთვის გაცნობიერება იმის, რომ ეს არ არის მისაღები და გარკვეულად ძალადობის შემამსუბუქებელი, ამ აზროვნების შემცვლელი კურსების გავლა. აქაც პრობლემურია ის, რომ ასეთი კურსების გავლის საფასურის გადახდა თავად იმ პირს უწევს.

“ ***მოსამართლე:*** *ძირითადად კანონის მოცემულობიდან რომ გამოვიდეთ, თუ ნასამართლევმა პირმა ჩაიდინა აქ არ გაქვს პირობითი გამოყენების შესაძლებლობა, რადგან ნასამართლობის არმქონე უნდა იყოს პირი. რომც გინდოდეს არ გამოდის სხვანაირად, რადგან კანონის მოთხოვნაა ასეთი, გარდა ამისა საპროცესო შეთანხმებას თუ ვერ მიაღწიეს მაინც გამოდის, რომ თავისუფლების აღკვეთა უნდა შეუფარდო. შეიძლება პირი ნასამართლევი არ იყოს, მაგრამ ისეთი ნაწილით იყოს ბრალდებული, რომელიც განსაკუთრებით მძიმე კატეგორიაა. დავუშვათ ნარკოტიკული დანაშაულის მე-5 თუ მე-6 ნაწილი ქონდა ერთ-ერთ არასრულწლოვანს 8-დან 20 წლამდე რომ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ამ ბავშვმა აქტიურად ითანამშრომლა, იყენებდნენ,*

ე.წ. კურიერად. ავალებდნენ ნარკოტიკების დარიგებას და მერე ვოთსაფში ტვირთავდა ფოტოებს და ა.შ. ძალიან კარგი ბავშვი იყო, იყო ძალიან განათლებული, კარგი მოსწავლე, ძალიან კარგად ერკვეოდა ტექნოლოგიებში და ამის გამო გამოიყენა თავისივე ოჯახის წევრებმა. რეალურად ამ ბავშვს ჰქონდა დიდი შანსი გამოსწორების, მაგრამ სასჯელში ვიყავი ძალიან შეზღუდული. წარმოიდგინე 8-დან 20 წლამდე ითვალისწინებდა, პირობითის გამოყენების საფუძველიც არ მქონდა, კი აღიარებდა, მაგრამ ვიყავი ძალიან შეზღუდული. ამის გამო ბევრჯერ გადავდე სხდომა, რომ იქნებ მიეღწიათ საპროცესო შეთანხმებისთვის. რეალურად ამ ბავშვს არასაპატიმრო სასჯელი განესაზღვრა და სულ ვფიქრობდი რა გამოსავალი შეიძლებოდა მეპოვა. თუნდაც ის მუხლი, როდესაც უფრო მსუბუქ სასჯელს უფარდებ, მაგრამ დანაშაული იყო იმდენად კომპლექსური, ორგანიზებული, თან ნარკოტიკული საშუალების გასაღება და ა.შ. ცოტა რთული იყო ამის დასაბუთება. საბოლოო ჯამში აღარ მომიწია ამის გამოყენება, პროკურატურაც მაინც ისე მიუდგა, რომ არ დაღუპა ეს ბავშვი საბოლოოდ. რადგან შეიძლება ციხეში რომ მოხვედრილიყო ცუდად განვითარებულიყო უფრო.

“ ***მოსამართლე:*** *კრიმინოლოგიური მდგომარეობა, სისხლის სამართლის პოლიტიკა, პატიმრობის ინდექსი და სხვა გარემოებები ვფიქრობ სასჯელზე უფრო მეტად ახდენს გავლენას ვიდრე აღკვეთის ღონისძიებაზე, პირდაპირ შეიძლება არ ახდენს გავლენას, მაგრამ ირიბად მაინც ახდენს. სასჯელს როდესაც ვნიშნავთ, ჩვენ ვითვალისწინებთ როგორც კერძო პრევენციის აუცილებლობას, ასევე ზოგადი პრევენციის აუცილებლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მიერ დანიშნულმა სასჯელმა არა მხოლოდ კონკრეტული მსჯავრდებული უნდა შეაკავოს არამედ საზოგადოების სხვა წევრებიც უნდა შეაკავოს იმავე დანაშაულის განმეორებისაგან. ასევე ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ რესოციალიზაცია, რაც ნიშნავს ერთ მხრივ მსჯავრდებულის დაბრუნებას საზოგადოებაში სრულუფლებიან წევრად, მაგრამ მეორე მხრივ საზოგადოების მიერ ამ მსჯავრდებულის მიღებას როგორც სრულუფლებიან წევრად. ასევე ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ სამართლიანობის აღდგენის მიზანიც, რაც იმას ნიშნავს, რომ დაზარალებულმაც და საზოგადოებამაც კონკრეტული სასჯელის გაგების დროს უნდა აღიქვას ეს როგორც სამართლიანი სასჯელი და შესაბამისი სასჯელი. ამიტომ საზოგადოებრივი მიდგომა, დამოკიდებულებები, მიდგომები, თუნდაც სტერეოტიპები და ა.შ. ეს ყველაფერი უნდ იქნეს გათვალისწინებული. მართალია სასჯელს ვუნიშნავთ კონკრეტულ პირს, მაგრამ მსჯავრდებულს რომ ვუსჯით, ამავე დროს ვაფრთხილებთ მთელ საზოგადოებას რომ შენც თუ ასე მოიქცევი შენც ასე მოგივა, ამიტომ მე ვფიქრობ ეს ყველაფერი სასჯელზე მაინც ახდენს პირდაპირ თუ არა ირიბ გავლენას მაინც. სტატისტიკა ვფიქრობ არ ახდენს გავლენას სასჯელის დანიშვნაზე.*

“ ***მოსამართლე:*** *ჩვენ სასჯელს ვუსჯით იმიტომ, რომ მოხდეს რესოციალიზაცია და დანაშაულის პრევენცია. ამიტომ თუ იმ ვიწრო სოციუმში დანაშაული ძალიან გავრცელებულია, პრევენცია მარტო იმას არ ნიშნავს, რომ კონკრეტულმა პირმა არ გაიმეოროს, დანაშაული, ზოგადადაც უნდა მოხდეს პრევენცია. ქორწინების იძულება იქნება, 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირი თუ მსგავსი დანაშაული თუ მომეტებულია კონკრეტულ სოციუმში, შეძლება ცოტა უფრო მკაცრი პოლიტიკა გაატარო სასჯელის მხრივ, რომ სხვა დანარჩენებისთვის იყოს ეს მაგალითი და შემაკავებელი.*

“ ***მოსამართლე:*** *ყველა ფაქტორი და გარემოება ერთობლივად გაითვალისწინება. კანონის მოთხოვნაც ასეთია, უნდა გავითვალისწინოთ როგორც თვითონ დანაშაულის მახასიათებლები, ისე ინდივიდუალური მახასიათებლები. აქ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია, ინდივიდუალური შეფასების ანგარიში. პირველივე დღიდან მივესალმები, რომ არსებობს, ფუფუნებას ვეძახი ამას, რადგან ვიდრე ეს იქნებოდა, მახსოვს განვიხილე ძარცვის საქმე. თავისი ფაქტობრივი მდგომარეობით საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო. ამ ბავშვს ჯერ ქურდობა ქონდა ჩადენილი, მერე განმეორებითი იყო ორი ძარცვის ეპიზოდი, რომელიც ძალადობით გამოირჩეოდა, აგრესიული ძალადობის ფორმით. მახსოვს, რომ დავნიშნე საპატიმრო სასჯელი, მაშინ ჩვენ არ გვქონდა 74-ე მუხლი, უფრო შეზღუდულები ვიყავით. შემდეგ როცა უკვე განაჩენი გამოვაცხადე, გავიგე ამ ბავშვის ოჯახური მდგომარეობა. რამაც ჩემზე ძალიან იმოქმედა. მაშინ კიდევ უფრო მივხვდი რამდენად მნიშვნელოვანია ვიცდე რა ოჯახური მდგომარეობა აქვს, რა სოციუმში ტრიალებს, ზოგადად, როგორი მდგომარეობა აქვს. მას შემდეგ რაც ეს პროექტი ამოქმედა, ეს ჩვენ ძალიან გვეხმარება. ზოგჯერ განმსაზღვრელია დანაშაულის ტიპისთვის, რა ვითარებაში ცხოვრობს ეს ბავშვი. თუკი არის ის ძალადობის მსხვერპლი იმეორებს ძალადობას, თუკი არის უგულვებელყოფილი, ჩადის ისეთ დანაშაულს, რითიც ყურადღებას იქცევს. მახსენდება შემთხვევა, რომ ბავშვი იყო ნასამართლევი და ჩაიდინა ქურდობა, მოიპარა ბაზრობაზე ქალის ერთი ფეხსაცმელი. ეს გააკეთა პოლიციის თვალწინ. ვერ იტყვი, რომ ერთი ცალი ჭირდებოდა, არ ყავდა დედა, არ ყავდა და, ცოლი ან შეყვარებული. მდედრობითი სქესის არავინ ყავდა. ამ ფორმით იქცევდა ყურადღებას. როდესაც დანაშაულს ჩაიდენდა, მერე ბაბუა მამა, მხოლოდ მას შემდეგ აქცევდნენ ყურადღებას. ეს იყო ერთგვარი ხერხი ყურადღების მისაქცევად. სასჯელის დანიშვნის დროს ამ ყველაფერ, რა თქმა უნდა ვითვალისწინებთ.*

თუ დანაშაული არის მცირე მნიშვნელობის, შემთხვევა არის განმსაზღვრელი, ხშირად ბავშვები ჩადიან ისეთ ქურდობას, რომ მაგალითად ბავშვები შედიან და იპარავენ საღეჭ რეზინს მაღაზიიდან, ან იპარავენ შოკოლადს. ქურდობა რა თქმა უნდა გამართლებული არ არის, დანაშაულია, მაგრამ სასჯელი უნდა იყოს ქმედების შესაბამისი. ჩემი 16 წლიანი პრაქტიკის დროს გვქონდა ისეთი კანონი, რომელიც ჯერ არ ასხვავებდა არც არასრულწლოვანს და არც სრულწლოვანს. სრულწლოვანისთვისაც კი ძალიან მძიმე სასჯელები იყო. მე მახსოვს იმ პერიოდში, როგორი რთული იყო ჩემთვის არასრულწლოვნის საქმის განხილვა, როდესაც იყო მოპარული 2 შოკოლადი, ფორმალურად იყო დამთავრებული

დანაშაული, ზოგჯერ ჯგუფიც იყო და მძიმეც იყო, და ასე შემდეგ. მათ შორის არ შეგვეძლო მძიმეზე პირობითის გამოყენება თუკი აღიარება არ გვქონდა და ა.შ. დღეს ეს გაცილებით მაღალ დონეზეა და მაღალი სტანდარტიც გვაქვს ამ შემთხვევაში. ვფიქრობ ეს ყველაფერი ერთად ახდენს გავლენას სასჯელის დანიშვნაზე.

მათ შორის ქმედების ხასიათს, ძალადობის ხარისხსაც ვითვალისწინებთ. მაგალითად მქონდა შემთხვევა, რომ ცემის ფაქტზე, არ გამოვიყენე განრიდება. ხო ისე ჩანს, არასრულწლოვანია, ცემაა, სასჯელი დაბალია, მაგრამ რატომ არ გამოვიყენე, ჯერ თვითონ ამ ბავშვის დამოკიდებულება იყო აშკარა. ჯერ მხოლოდ აღიარებაც იმიტომ გააკეთა, რომ მიეღო შეღავათი და ეს არ იყო მისი გულწრფელი სინანული ქმედებისადმი და არ მიჩენდა იმის განცდას, რომ ის მსგავსს არ გაიმეორებდა. მეორე ეს ბავშვი იყო ფიზიკურად ძალიან დიდი, ალბათ მეტრი და 90, წონითაც დიდი ბიჭი. მან ცემა მაღაზიის მოლარე გოგონა, მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდად შეხედაო დედაჩემსო. სინანული არ ჰქონდა, ძალადობას ამართლებდა, იმით, რომ მან ცუდად შეხედა მის ახლობელს. განრიდებაც იმიტომ კეთდება, რომ ბავშვს ზუსტად ესმოდეს მისი ქმედების, სინანული უნდა გააჩნდეს ქმედების მიმართ და არ იქნება ქმედების განმეორებითობის მაღალი რისკი.

სასჯელების აღსრულების პროცესის გავლენა სასჯელის დანიშვნაზე;

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოიკვეთა მოსამართლეთა მხრიდან სასჯელის აღსრულების პროცესის პრაქტიკული საკითხების შესახებ ინფორმაციის ფლობის მიმართულებით და ინდივიდუალურ საქმეებზე სასჯელის აღსრულების პროცესის შესახებ უკუკავშირის მიწოდების მიმართულებით. ამ ინფორმაციის ნაკლებობა სავარაუდოა, რომ აისახება შემდგომში სასჯელის შეცვლის საკითხებზე წარდგინებებისა შუამდგომლობების ეტაპზე.

- ***მოსამართლე:*** *მოსამართლისთვის აუცილებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესის შესახებ ცოდნა, რადგან ერთადერთი რის შემოწმებასაც ვახერხებ სასჯელის დანიშვნამდე, არის პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა - შეუძლია თუ არა შრომის შესრულება. მაგრამ ინფორმაცია, რა ხდება შრომის აღსრულების ეტაპზე, არ მაქვს. აქვე მნიშვნელოვანია, რომ ბევრი წარდგინება შემოდის შრომის სხვა სასჯელით შეცვლის თაობაზე და ვფიქრობ, ესეც ხელშემშლელი ფაქტორია, რადგან არ არის თავიდანვე გაანალიზებული რა სამუშაოა. მეორეა, რომ ყველაფერზე თანახმანი არიან, ოღონდ მსუბუქად დაიხსნან თავი სასამართლოსგან და მერე როდესაც სამუშაოს შესრულება უწევთ, თავს არიდებენ ამის შესრულებას. კარგი იქნებოდა, თუ მოსამართლეს ეცოდინებოდა და ბრალდებულს მიაწვდიდა ინფორმაციას შრომის შესახებ.*

- ***მოსამართლე:*** *ინფორმაციის ქონდა ასეთ საკითხებზე რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია, მაგრამ დღემდე არ ვფლობთ. სხვათა შორის ამაზეც მიფიქრია, სასჯელს რომც დავანებოთ თავი და იგივე განრიდებასა რომ შევეხოთ, თუნდაც*

განრიდების გამოყენება ან როგორ მუშაობს რომელიღაც კონკრეტული სასჯელი და რამდენად აღსრულებადია. ეს არასდროს არ არის ხელმისაწვდომი. ჩვენ ამაზე ინფორმაციას ვიღებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პირის მიმართ ისევ დაიწყო დევნა და იგივე პირის მიმართ შემოვიდა საქმე და საქმის მასალებში ჩანს. ზოგჯერ არის ხოლმე რომ ჩემი გასამართლებული იყო, ვიცი ის პიროვნება და ვხვდები რომ არ გაამართლა თუნდაც განრიდების გამოყენებამ. კარგი იქნებოდა, რომ ეს ინფორმაცია სასამართლოს ქონდეს, მაგრამ რადგან ამის ვალდებულება არ არის არც არავინ გვიგზავნის. არც ვითხოვთ და არც გვიგზავნიან.

“ ***მოსამართლე:*** *დასაქმების ადგილს პრობაცია განსაზღვრავს და წინასწარ არც იცი რას შესთავაზებს. თუმცა ამის არც მექანიზმი არსებობს, რომ წინასწარ იცოდე. თუმცა უფრო მეტად ინფორმირებული რომ ვიყოთ და პრობაციასთან თანამშრომლობა უფრო მჭიდრო იყოს მოსამართლისთვის, შეიძლება ძალიან ეფექტური იყოს. შეიძლება ასეთი ცოდნა გამომადგეს გადაწყვეტილების მიღებისას.*

იგივე მაგალითად ძალიან კარგი იქნება თუ განრიდების ღონისძიებებსაც გაგვაცნობს რას თავაზობენ ბავშვებს.

იგივე როდესაც ხდება პირობითი მსჯავრის შეცვლა შრომით, რა შეძლება იყოს თანხვედრაში და პროპორციული იქნება აი ამ ინფორმაციას თუ მოგვაწვდიან, როგორ არ გამოგვადგება. მე ისიც არ მესმის მოსამართლეს რატომ არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა რომ შევიდეს ციხეში და ნახოს იქ რა ხდება. მაგალითად იყოს შესაძლებლობა, რომ მოსამართლეს გააცნოს როგორ იხდიან სასჯელს ადამიანები. რა ედება საფუძვლად სასჯელისგან ვადამდე გათავისუფლებას, რა პროგრამებია, თუნდაც იგივე ბავშვებისთვის რაც ხელს უწყობს რესოციალიზაციას და რეაბილიტაციას. მე მაგალითად ძალიან მაინტერესებს, სიამოვნებით წავიდოდი. ევროპის და ამერიკის ციხეები მაქვს ნანახი და ჩვენი არა, იმიტომ რომ არ არის ასეთი შესაძლებლობა.

“ ***მოსამართლე:*** *მე ვფიქრობ, რომ მოსამართლეს რაც უფრო მეტი ინფორმაცია ექნება, მით უფრო სწორი გადაწყვეტილების მიღებას შეძლებს. ეს ინფორმაცია არამხოლოდ საქმის მასალებთან დაკავშირებით და არა მხოლოდ პიროვნებასთან დაკავშირებით, არამედ სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებითაც არის საინტერესო.*

ყველაზე პრობლემური მაინც ალბათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის ამ კუთხით. რომ ვიცოდე არის თუ არა რიგი აღსრულებაზე კარგი იქნება. ისევე როგორც საპატიმრო დაწესებულებაზე, რომ ვიცოდე რამდენი თავისუფალი ადგილი არის დარჩენილი, ესეც მნიშვნელოვანი იქნება. რომ ვიცდე მაგალითად შინაპატიმრობის შემთხვევაში, რა დაბრკოლებებს აწყდებიან აღმასრულებლები ესეც მნიშვნელოვანი იქნება. სამწუხაროდ სასჯელის აღსრულების საკითხზე, ჩვენ უკურეაქციები, ანუ უკუკავშირი არ გვაქვს.

ინდივიდუალურ საქმეზე უკუკავშირიც მნიშვნელოვანია. შეიძლება ეს ყველა საქმეზე არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ არის საქმეები, სადაც, მე მაგალითად მქონია ხშირად ესეთი ვითარება, როდესაც მიმიღია ისეთი გადაწყვეტილება,

რომლის პრაქტიკაც ადრე არ ყოფილა და ასეთ შემთხვევებში ძალიან საინტერესო არის ის რაც მე პირველად გავაკეთე როგორი შედეგი გამოიღო, პროდუქტიული აღმოჩნდა, თუ პირიქით, არაპროდუქტიული აღმოჩნდა. აღსრულდა ის კონკრეტული სასჯელი იქნება თუ მოვალეობა, თუ არ აღსრულდა. თუ აღსრულდა, შემდეგ ამან რა გამოიწვია და ა.შ. სამწუხაროდ ჩვენ ესეთი უკუკავშირები არ გვაქვს, რის გამოც მე არ ვიცი ინფორმაცია არ მაქვს, მომავალში იგივე უნდა გავიმეორო თუ არა. იგივე რომ გავაკეთო ეს დამატებით პრობლემებს წარმოშობს, თუ პირიქით უკეთესი იქნება. ვისთვის უკეთესი იქნება და ვისთვის უარესი. თუ მე ეს არ ვიცი, ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელი არის შემდეგ პრაქტიკის ჩამოყალიბება. მაგალითად, ყოფილა შემთხვევები, როდესაც მიმიღია გადაწყვეტილება და გამომიყენებია რაღაც ისეთი ვალდებულება, რომელიც პრაქტიკაში არ ყოფილა, შემდეგ გასაჩივრებულა ჩემი გადაწყვეტილება და ზემდგომ ინსტანციას ამ ნაწილში შეუცვლია. შემდეგ გვიმსჯელია ამ საკითხებზე და ყოფილა შემთხვევა, რომ ასეთი რამ არ მომხდარა, ასეთი პრაქტიკა არ არსებობს და ცოტა უცნაურია. როდესაც პირველად რაღაცას იყენებ, ის ყოველთვის უცნაურია და არასდროს არ არსებობს მისი პრაქტიკა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც გამომიყენებია რაღაცა და შემდეგ გამიგია, რომ მისი აღსრულება რთულია. ესე გასაგებია, იმიტომ რომ პირველად ყველაფერი რთული არის. არ ვიცი, შემდეგ როდესაც ეს აღსრულდა ბრალდებულზე ამან რა გავლენა მოახდინა ან მაგალითად საზოგადოებაზე ამან რა გავლენა მოახდინა, ან დაზარალებულზე რა გავლენა მოახდინა, ამან რაიმე შეცვალა თუ არა საერთოდ, სადმე ვინმესთან, შემდეგ ეს აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები უფრო მნიშვნელოვანი იყო თუ ის შედეგი რომელიც მივიღეთ. ეს საკითხები თუ არ იქნა შეფასებული და შესწავლილი და ალბათ ყველაზე მეტად ისევ მოსამართლის მიერ რომელიც იყენებს ამას, შემდეგ ძლიან ძნელი არის დასკვნების გამოტანა და ძნელი არის შემდეგ იცოდეს სწორად პრაქტიკის განვითარებას რა დაეხმარება. ამიტომ ეს თუ გვეცოდინება ძალიან სასარგებლო იქნება თვითონ მოსამართლისთვისაც და ყველასთვის.

“ ***მოსამართლე:*** *ჩემთვის როგორც ერთი მოსამართლისთვის, უკუკავშირი არის ძალიან მნიშვნელოვანი. მე მქონია შემთხვევა, როდესაც თითო ბავშვი 5-ჯერ გამისამართლებია და ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული მომენტია. ყველაფერს ვაკეთებ რომ ეს ბავშვი გადარჩეს. ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი უკუკავშირი, განსაკუთრებით განრიდების შემთხვევაში და არასაპატიმრო სასჯელის შემთხვევაში. იმიტომ, რომ ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც პროკურატურას განრიდება არ გამოუყენებია, და შემდეგ მე მიმიღია ეს გადაწყვეტილება. ეს არის ჩემი ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. მე შენ, დღეს განგარიდე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და პროცესს და ეს პასუხისმგებლობა ავიღე ჩემ თავზე და ვეუბნები, რომ აბა შენ იცი ახლა როგორი კარგი ადამიანი იქნები და რამდენად სწორად იცხოვრებ. ძალიან მტკივნეულად მახსოვს, ერთი შემთხვევა. იგივე სახელის და გვარის ბავშვის საქმე დამეწერა, რომელზეც განრიდება გამოვიყენე, და რაც დამეწერა იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ჯგუფური მკვლელობა. ვერ წარმოიდგენთ ჩემს განცდას, სანამ ვნახავდი, რომ ეს ის ბავშვი*

იყო ვინც განვარიდე, თუ უბრალოდ დამთხვევა იყო სახელის და გვარის. ვიდრე გავიგებდი, ვფიქრობდი, მე ვუბიძგე ალბათ, მე დავეხმარე მას უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენაში, იქნებ მაშინ რომ სასჯელი გამომეყენებინა მას ეს არ ჩაედინა. საბედნიეროდ ასე არ აღმოჩნდა და რეალურად სხვა ბავშვი იყო. მაგრამ სანამ მე ეს გავიგე ძალიან განცდები მქონდა. როცა რაღაც მძიმე დანაშაული მოხდება ხოლმე, სახელს და გვარს რომ ვიგებ, ჩემი გონება არის დაძაბული, ჩემი ბრალდებული ხომ არ იყო, ჩემი მსჯავრდებული ხომ არ არის, რაიმე არაგონივრული ლმობიერება ხომ არ გამოვიჩინე. აქედან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია უკუკავშირი. ჩემთვის, ნებისმიერი ჩემი მსჯავრდებული ან განრიდებულის მიმართ ძალიან საინტერესოა უკუკავშირი მივიღო.

“ ***მოსამართლე:*** *იგივე შინაპატიმრობასთან მიმართებაში, ვიცით, რომ დეპოზიტი არის შესატანი. განსხვავებული მიდგომებია სოციალურად დაუცველებთან, არასრულწლოვნებთან და ა.შ. ეს დეტალები ჩვენ ვიცით, მეგობრულ დონეზე. რაღაც შეხვედრაზე რომ შევხვდებით ერთმანეთს და გავცვლით ინფორმაციას. თუკი მოსამართლე ასეთ შეხვედრებზე ვერ ხვდება მას არ ექნება ეს ინფორმაცია. რატომ არის კიდევ მნიშვნელოვანი ეს ინფორმაციის ცოდნა. თუნდაც ავიღოთ საპროცესო შეთანხმების შემთხვევა, ჩვენ ვუმარტავთ, ხომ ეთანხმება სასჯელს. მაგალითად პირობითი მსჯავრის შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვიცოდე მისი ზუსტი საცხოვრებელი ადგილი, რომ მერე ეს არ გახდეს პრობაციისთვის მიზეზი, რომ ვერ იპოვოს და სასჯელი არ გახდეს შემდეგ შესაცვლელი. დავუშვათ შრომის გამოყენების დროს, რა ტიპის, რამდენი საათია, როგორი სამუშაოა უნდა განუმარტო. ყოველთვის, მოსამართლის ნათქვამი სხვანაირად ესმით ხოლმე. უფრო მეტად ნეიტრალური პირია, არაა მხარე. იმას რასაც ეუბნება მოსამართლე უფრო მაღალი ნდობა აქვს ჩემს პრაქტიკაში. ამიტომ თუკი უფრო მეტი ინფორმაცია გვექნება ძალიან მნიშვნელოვანია, როგორი ტიპის სამუშაო ტარდება, რა ტარდება, სად ტარდება, რამდენ ხანშია შესაძლებელი გამოჩნდეს სამუშაო, როდის შეიძლება დაიწყოს სასჯელის მოხდა და ა.შ. რაც მეტი გვეცოდინება, კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მივაწვდით სასჯელის განმარტების ეტაპზე. ვფიქრობ ეს ასევე დაეხმარება არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებას, თუნდაც საპატიმრო სასჯელის აღსრულებას, როდესაც უფრო მეტი ინფორმაცია ეცოდინება მსჯავრდებულს საწყის ეტაპზევე. კიდევ უფრო მოქნილი გახდება ეს სისტემა.*
თუკი მოხდება კოორდინაცია, ინფორმაციის გაცვლა, ვფიქრობ ეს ძალიან წაადგება ჩვენს საერთო საქმეს.

“ ***მოსამართლე:*** *მქონია შემთხვევა, როდესაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შემდეგ სამუშაო ადგილი არ იყო მისაღები მსჯავრდებულისთვის. მე როდესაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვუნიშნავ ან საპროცესო შეთანხმებას ვამტკიცებ, ვუმარტავ რომ ეს არის ფიზიკურ შრომასთან დაკავშირებული, მაგრამ, უმეტესად, ორი მიზეზი არსებობს, რატომაც არ/ვერ ასრულებს - 1. რომ ვეკითხებით სად გაგანაწილეს, არის თბილისის ზოოპარკი, რომელსაც აქვს დასუფთავების სამსახური სამუშაო ადგილად და მეორე, ეს არის ტრანსპორტირების პრობლემა - ტრანსპორტი არ*

მიდის ბოლომდე [იგულისხმება, თბილისის ზღვასთან ზოოპარკი]. ეს განსაკუთრებით პრობლემური კოვიდის დროს იყო. სხვა დასაქმების ადგილზე სამუშაოს შეუსრულებლობის შემთხვევა მე არ მახსენდება.
ზოგადად სასჯელების დანიშვნის დროს, ძალიან საინტერესო იქნებოდა ამ ინფორმაციების ცოდნა, რადგან კანონი იძლევა შესაძლებლობას არასაპატიმრო სასჯელებთან ერთად გარკვეული მოვალეობები დავაკისრო, თუმცა ვალდებულება, რომელსაც მე მას დავაკისრებ, მსჯავრდებულის გადასახდელი არ უნდა იყოს. პრობაციაში არსებული პროგრამები რომ უფასო იყო, არ მქონდა ამის შესახებ ინფორმაცია.

“ ***მოსამართლე:*** *კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც მინდა აღვნიშნო - პენიტენციურ დაწესებულებას შეუძლია პირობით ვადამდე გაათავისუფლოს პირი საპატიმრო სასჯელისგან ან პირობით ვადამდე გათავისუფლების პერიოდი შეუცვალოს შინაპატიმრობით. შინაპატიმრობით თუ უცვლის, ამ შემთხვევაში სახელმწიფო უზრუნველყოფს მას ელექტრონული მონიტორინგის დაწესებას. ეს ქმედითია. პირველივე დარღვევაზე მოდიან ჩვენთან, თუმცა ჩვენ შანსს ვაძლევთ და არ ვუცვლით, მაგრამ თუ ამას სისტემატური სახე ექნება, უკან ვაბრუნებთ საპატიმრო დაწესებულებაში - ამის ეფექტურობას, მათ შორის, განსაზღვრავს აპარატურის ღირებულების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურება. მეორე საკითხია სასჯელის შეცვლა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, რომელიც ზოგჯერ 3000 საათია. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ წელიწადნახევარი უანგაროდ შრომობს პირი, თავს ვერ ირჩენს და შესაძლოა იფიქროს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში უკეთესი იყო ყოფნა ვალდებულებების გარეშე და კვებით უზრუნველყოფილი. ამიტომ არ არის გამართლებული ასე დიდი ხნით მისი დანიშვნა და არაქმედითია.*

არსებული საკანონდებლო გამოწვევები და სასჯელების სახეების გაფართოების საჭიროება.

კვლევის პროცესში, არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, გამოიკვეთა ერთი მხრივ არსებული სასჯელების მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების საჭიროება, ხოლო მეორე მხრივ სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული სანქციების გადახედვის აუცილებლობა. ეს საკითხები ინტერვიუების უმეტესობის შემთხვევაში ერთ-ერთ ძირითად განსახილველ გამოწვევას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა მხრიდან დასახელდა ძალიან მწვავე პრობლემები, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ქმნის სირთულეებს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების კუთხით.

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას სასჯელების ნაწილში წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულ სანქციებში ალტერნატიული სასჯელების ნაკლებობა, ამასთანავე პატიმრობის და ალტერნატიული სასჯელების ურთიერთმიმართება, მეორე მხრივ კი დაცული სიკეთეების მიმართება და დისპროპორცია სასჯელებს შორის.

“ ***მოსამართლე:*** *მართალი გითხრათ, პრაქტიკოსი იურისტი ვარ, 9 წელია მოსამართლე ვარ და მანამდე 2010 წლიდან აკადემიურ საქმიანობასაც ვეწეოდი და ლექციებსაც ვკითხულობდი და ამაზე მიფიქრია სასჯელებთან დაკავშირებით და მართალი გითხრათ, მე დღემდე არ მაქვს პასუხი რა კრიტერიუმებით არის სანქციები განსაზღვრული კოდექსში. ლოგიკაც ვერ დავიჭირე, თავის დროზე როდესაც შემოვიდა, რატომ შემოვიდა და შემდეგ ცვლილებები რომ შევიდა რა ლოგიკით შევიდა, რომ რაღაც ერთიან აზრამდე მივსულიყავი, რომ საფუძვლები მეპოვა, რატომ არის კონკრეტული დანაშაულისთვის ეს სასჯელი და სხვისთვის სხვა, ეს არ ვიცი. მგონია, რომ ძალიან არეული არის სანქციების საკითხი და ერთმანეთთან შესაბამისობაში არ არის. ჩვენ ვამბობთ ხოლმე და სტუდენტებსაც ასე ვასწავლით ხოლმე, რომ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულები დალაგებული არის ღირებულებების მიხედვით და ყველაზე ღირებული არის ადამიანის სიცოცხლე და ამიტომ ის არის პირველ თავში და მერე მოდის სხვა. სინამდვილეში ეს ღირებულებები არ აისახება სანქციების ზომებში. მაგალითად ნარკოტიკული დანაშაულისთვის გათვალიწინებული არია უვადო თავისუფლების აღკვეთა, მაშინ როდესაც ბევრი სხვა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული უვადო თავისუფლების აღკვეთა. ცოტა გაუგებარი არის ეს სანქციების სახეები და ზომები რის მიხედვით არის შერჩეული. დავაკვირდი ამ საკითხსაც და ესეც გაუგებარი არის, ერთ კონკრეტულ მუხლში, რის მიხედვით არის სანქციების ზომები.*

მაგალითად ერთ კონკრეტულ მუხლში, სადაც არის ჯარიმაც, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაც, თავისუფლების აღკვეთაც და შინაპატიმრობაც, თუ დააკვირდებით, მზარდი თანმიმდევრობით არის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისთვის გათვალისწინებული ზომები ისე არის მითითებული, რომ ყოველთვის უფრო მცირე არის ვიდრე შინაპატიმრობის ზომები, შინაპატიმრობის ზომები მცირე არის ვიდრე თავისუფლების აღკვეთის ზომები, არადა საუბარია, ერთსა და იმავე მუხლზე და დანაშაულზე, რომლისთვისაც მოსამართლემ უნდა შეარჩიოს რომელ სასჯელს შეუფარდებს. მაგრამ ისე გამოდის, რომ თუ შეუფარდებ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, სიტყვაზე, მაგალითად შეიძლება შეუფარდოს 200 საათი და მის ალტერნატივად, იმავე მუხლში, მითითებულია მაგალითად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ჩვენ გვაქვს ზოგად ნაწილში მუხლები, სადაც გადაყვანილი არის ეს სასჯელები. მაგალითად 1 დღე თავისუფლების აღკვეთა უდრის 5 საათს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, 50 ლარს ჯარიმას და ა.შ. ანუ თუ გადაიყვან აშკარად ნახავ, რომ არ არის შესაბამისობაში. ამის ლოგიკასაც ვერ ვხდები რის მიხედვით არის სანქციები დალაგებული ერთსა და იმავე მუხლში. ეს საკითხი დამდგარა, როდესაც პირისთვის მოსამართლეს მიუსჯია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა რომელიც არ შეასრულა, ჯიუტად თავი აარიდა და როდესაც პრობაციის ბიურო შემოსულა სასჯელის შეცვლის მოთხოვნით, აღმოჩნდა, რომ ის სასჯელი რომელიც უნდა შეცვალო, აშკარად გაცილებით მცირეა, ვიდრე იქნებოდა იმ შემთხვევაში მოსამართლეს პირდაპირ რომ დაენიშნა. გამოდის, რომ თუ მსჯავრდებულმა თავი აარიდა ერთ სასჯელს,

შეიძლება მიიღოს უფრო მსუბუქი სასჯელი საბოლოოდ, ვიდრე მიიღებდა თავის დროზე იგივე სასჯელი რომ შეფარდებოდა. რაღაც ალოგიკური დამოკიდებულებები არის. არ ვიცი რატომ არის ასე.

- ***მოსამართლე:*** *საკანონმდებლო პროცესი ძალიან შეფერხებულია. განსაკუთრებით საკონსტიტუციო სასამრთლოს გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის ნაწილში. არსი სტანდარტები, რომლებიც შეიცვალა საკონსტიტუციოს გადაწყვეტილებებით უკვე წლებია და ამის ასახვა კანონმდებლობაში არ ხდება. ეს არის ყველაზე პირველი პრობლემა. მაგალითად ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული პოლიტიკა, ირიგ ჩვენებებთან დაკავშირებული პოლიტიკა და ა.შ. რაც უბრალოდ არ აისახა, რაც ძალიან სერიოზულ პრობლემას ქმნის სასამრთლო პრაქტიკაში. ერთი მხრივ არის კანონი რომელიც ანტიკონსტიტუციური და მეორე მხრივ არის გადაწყვეტილება, რომელიც ახალ სტანდარტს ადგენს. მოსამართლეებს უწევთ ამ გადაწყვეტილების საფუძველზე თავისი პრაქტიკის დადგენა, რაც ძალიან ცუდია.*
  მეორე მხრივ, სანქციების კუთხით ბევრი რამე არის შესაცვლელი, მაგალითად, ოჯახურ დანაშაულებზე სანქციები ძალიან დაბალია. საჭიროა გამკაცრება. არის დანაშაულები სადაც პირიქით ძალიან მკაცრია სანქციები, მაგალითად, ეკონომიკურ დანაშაულებზე. მაგალითად, ჯგუფური ქურდობა და ქურდობა არაერთგზის გაიგივებულია სასჯელის კუთხით. ბევრი საკითხი არის გადასახედი.
  მათ შორის ის ჩარჩოები რომლებიც მოსამართლეს აქვს არასაპატიმრო სასჯელებთან მიმართებაში. ალტერნატივა, ალტერნატიული სანქციები, ყველა მუხლს უნდა ჰქონდეს. ძალიან ხშირად სანქციების უალტერნატივობა მოსამართლეს ხელფეხს უკრავს რომ არასაპატიმრო სასჯელები გამოიყენოს.

ინტერვიუების უმეტესობის დროს ცალსახად აღინიშნა, რომ მოსამართლის დისკრეციის გაფართოება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ალტერნატიული სასჯელების გამოყენების გაფართოებისათვის. ეს შეეხება როგორც სისხლის სამართლის კოდექსის თითოეული მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმზე უფრო ნაკლები სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას, ასევე პირობითი მსჯავრის დანიშვნის უფლების გაფართოებას.

- ***მოსამართლე:*** *პატიმრობის ინდექსზე და ამ მაჩვენებლებზე არ მქონდა ინფორმაცია. ეს ჩემი აზრით იმიტომაა, რომ მოსამართლეს ალტერნატივის შესაძლებლობა ძალიან ცოტა აქვს. იგივე მაგალითად ის მუხლი რომლითაც შეუძლია მოსამართლეს დანიშნოს იმაზე უფრო მსუბუქი სასჯელი რომელიც კანონით არის გათვალისწინებული. იგივე ამის უფლება რომ არ აქვს. მაგალითად ადამიანმა მოიპარა შოკოლადი და ისევ პირობითის ვადაში მოიპარა შოკოლადი და ამ შოკოლადის გამო იძულებული ხარ გაუშვა ციხეში. ალტერნატივა არ გაქვს. იგივე მაგალითად პირობითი მსჯავრის დროს ჩადენილ დანაშაულზე ისევ პირობითი მსჯავრის გამოყენება პროკურატურის გარეშე რომ არ შეგიძლია, ეს ყველაფერი განაპირობებს გარკვეულ შემთხვევებში, ალტერნატივის არ არსებობის გამო ადამიანების ციხეში გაშვებას.*

კრიმინალური ვითარება რომ არის დამძიმებული, ამაზე მემგონი არ ვდაობთ. ამაში სასამართლო მგონია ყველაზე ნაკლებად დამნაშავე, რატო ხდება ეს დანაშაული და რატომ გაიზარდა კრიმინალი ამაზე უნდა ვიფიქროთ.

- ***მოსამართლე:*** *სრულწლოვანების შემთხვევაში - ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრია კანონმდებლობა და 55-ე მუხლის გამოყენებას უფრო მოსამართლის დისკრეციად გადავიტანდი. ასევე, უფრო მოქნილი უნდა იყოს პირობითად ჩათვლის მექანიზმი - არ აღიარების გამო ადამიანის პატიმრობა არ არის სამართალთან კავშირში. სასჯელის მოქნილობა მოსამართლეს უნდა ჰქონდეს საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღების შემთხვევაში - ამან შეიძლება გაართულოს საქმისწარმოება, მაგრამ მაინც... მათ შორის ვგულისხმობ, ქვედა ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობას. მგონია, რომ ძალიან მკაცრია კანონმდებლობა და არ აქვს ალტერნატივა. ვფიქრობ გადასახედია მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე სასჯელის სახეებს [ზოგ შემთხვევაში ნაკლებად მძიმე უფრო საშიშია, ვიდრე ეს მძიმე დანაშაული], 55-ე მუხლის სასამართლო ეტაპზე ამოქმედებაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია და პირობით ჩათვლაც შესაძლებელი უნდა გახდეს მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც.*

- ***მოსამართლე:*** *ვფიქრობ სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლს ესაჭიროება მოსამართლის ავტორიზაცია. ჩემი აზრით, საკმარისი სასჯელის სახეები გვაქვს. რა თქმა უნდა კიდევ შეიძლება გაფართოება დამატებითი ვალდებულებების სახით, მაგრამ ყველაზე მეტად პრობლემად მიმაჩნია, რომ მოსამართლეს არ აქვს სასჯელებს ხელმისაწვდომობა. ეგ უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ის რომ არ გვაქვს საკმარისი სასჯელების სახეები. ბევრნაირი სასჯელი სახე გვაქვს, მაგრამ ვერ იყენებ და რად გინდა.*

- ***მოსამართლე:*** *ჩვენ გვქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის ის რედაქცია, რომელიც ადრე აძლევდა მოსამართლეს საშუალებას, რომ მინიმუმზე ქვემოთ ჩამოსულიყო, დღევანდელი რედაქციით ეს შესაძლებლობა მხოლოდ საპროცესო შეთანხმებასთან არის მიბმული. მიფიქრია იმაზე, რომ ხომ არ იქნებოდა კარგი, კონკრეტულ შემთხვევებში, თუნდაც იშვიათ შემთხვევაში მოსამართლეს ჰქონოდა შესაძლებლობა, რომ ამ მინიმალურ ზღვარს ჩამოცდენოდა, მაგრამ არ ვიცი ეს რამდენად მიზანშეწონილი და კარგი იქნება, რადგან თუ ეს ზოგად ნორმად დადგინდება და თუ მოსამართლეს ნებისმიერ შემთხვევაში ექნება ამის გამოყენების შესაძლებლობა, მაშინ სანქციები საერთოდ აზრს კარგავს. იმიტომ, რომ ნებისმიერ დროს შეგიძლია ამ სანქციებს გვერდი აუარო და მინიმუმს ქვემოთ ჩამოხვიდე. ამიტომ ასეთი ფართო გამოყენების მომხრე არ ვარ. თუმცა რა დათქმები და რა შეზღუდვები შეიძლება დაწესდეს, რა შემთხვევებში შეიძლება გამოიყენო შეიძლება ამაზე ფიქრი.*

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც განსაკუთრებით გამოიკვეთა ორ მოსამართლესთან ინტერვიუს პროცესში არის სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი დათქმების არსებობა, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მოწყვლადი ჯგუფების საუარესოდ აქცევს საშეღავათო ნორმას. ასეთია ის დათქმა, რომელიც საზოგადოებისათვის

სასარგებლო შრომის, როგორც სასჯელის გამოყენებას კრძალავს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდების, ორსულ ქალის, ქალის, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი და საპენსიო ასაკის პირების შემთხვევაში. სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, სადაც სანქციის სახით მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული მნიშვნელოვანი პრობლემა იქმნება მოსამართლისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს.

“ ***მოსამართლე:*** *ერთი მნიშვნელოვანი გარემოება არის და ამ საკითხზე სტატიაც გამოვაქვეყნე. სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს ხარვეზი, რომლის გამოსწორება, ვფიქრობ მოსამართლეს არ შეუძლია და აუცილებელი არის ცვლილება. ეს უკავშირდება ასაკს, სქესს, ჯანმრთელობის მდგომარეობას და ალტერნატიული სასჯელების მიმართებას.*

სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს რამდენიმე მუხლი, თუ არ ვცდები 3 თუ 4 მუხლია ასეთი, მათ შორის ოჯახური დანაშაული, მათ შორის ქორწინების იძულება, და კიდევ რამდენიმე, სადაც სასჯელის სახით სანქციაში არის მხოლოდ 2 - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და თავისუფლების აღკვეთა. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლში, რომელიც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ეხება, მითითებული გვაქვს, რა შემთხვევაში ვერ ვიყენებთ ამ სასჯელს. მათ შორის პენსიონერის მიმართ, შშმ პირის მიმართ, სამხედრო პირის მიმართ და ა.შ.

რომ წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ამ დანაშაულებს ჩადის სწორედ ამ კატეგორიის ხალხი, მაგალითად რომ წარმოვიდგინოთ, რომ პენსიონერი დედამთილი ცემს რძალს ან პენსიონერი მამამთილი ცემს რძალს, ასეთ შემთხვევაში ძალიან პრობლემურია სასჯელის გამოყენების საკითხი. რა თქმა უნდა თუ ის არ აღიარებს ამ დანაშაულს. თუ აღიარებს პირობითი მსჯავრი არის გამოსავალი და მარტივია. მაგრამ როდესაც არ აღიარებს და პირობით მსჯავრს ვერ იყენებს მოსამართლე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასაც ვერ იყენებს მოსამართლე, რადგან აკრძალული არის 44-ე მუხლით და რჩება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, სხვა არჩევანი არ არის. მაგრამ ხედავს მოსამართლე, რომ თავისუფლების აღკვეთა არ არის აუცილებელი სასჯელი მიზნების მიღწევისთვის, აი ეს შემთხვევა არის ჩემი აზრით ისეთი, რომელსაც ჭირდება დაფიქრება და ალბათ რაღაც გამოსავლის პოვნა. რაღაც კუთხით დისკრიმინაციული გამოდის ეს მიდგომა, რადგან, როგორც წესი ხანდაზმული ასაკი სასამრთლო პრაქტიკაში გათვალისწინებული არის როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. შეზღუდული შესაძლებლობაც გათვალისწინებული არის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. თუ მაგალითად დედა არის არასრულწლოვნის და მის კმაყოფაზე შვილია, ესეც გათვალისწინებულია შემამსუბუქებელ გარემოებად, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ყველაფერი იცვლის სახეს და ხდება დამამძიმებელი და ხდება თავისუფლების აღკვეთის შეფარდების საფუძველი.

მე მომისმენია კოლეგების აზრი, როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობდით, უთქვამთ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება თავისუფლების აღკვეთა არ გამოიყენო და საერთოდ არცერთი სასჯელი არ დანიშნო, მაგრამ ეს მიდგომა არ მგონია, რომ კანონიერი იყოს, იმიტომ, რომ ეს მიდგომა შეიძლება გამოიყენო მაშინ, როდესაც

სასჯელი არ გაქვს, კონკრეტული კოდექსში, ან რაღაც ისეთი არჩევანია, რომელიც ამ კონკრეტული სასჯელის უკანონობის დასკვნას გაძლევს. ამ შემთხვევაში ასეთი პირდაპირი დასკვნის გამოტანა ძნელია. ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება საკანონმდებლო ცვლილებ.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნასთან დაკავშირებით ასევე გამოიკვეთა საინტერესო გამოწვევა, რომელიც მსჯავრდებულის თანხმობას შეეხება და პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული.

“ ***მოსამართლე:*** *სისხლის სამართლის პროცესი არის შეჯიბრებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლე შეზღუდული არის და მხარეებზეა დამოკიდებული, მოსამართლეს ასევე ეკრძალება წინასწარ აზრის გამოთქმა კონკრეტულ საკითხებზე და მათ შორის მიმანიშნებელი საუბარი. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც არის დანაშაული რომელიც რამდენიმე სასჯელს ითვალისწინებს და თუ მოსამართლე გამამტყუნებელი განაჩენისაკენ წავა ამას რა თქმა უნდა ვერ გამოხატავს და მხარეებს ვერ აცნობებს. რომ წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევა, რომ ბრალდების მხარე ითხოვს გამამტყუნებელ განაჩენს, დაცვის მხარე ითხოვს გამამართლებელ განაჩენს. მოსამართლე ჩავთვალოთ, რომ სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ, მტკიცებულებების შეფასების და საქმის აწონ დაწონვის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ უნდა გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. შემდეგ გადადის სასჯელების შერჩევაზე, ასარჩევი აქვს რამდენიმე სასჯელი, მათ შორის, მაგალითად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან თავისუფლების აღკვეთა. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ჭირდება ბრალდებულის თანხმობა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მის შეფარდებას აზრი არ აქვს იმიტომ, რომ არ შეასრულებს და მოგვიწევს შეცვლა. მოსამართლეს არ აქვს იმის შესაძლებლობა, რომ წინასწარ რაიმენაირად გაარკვიოს დაცვის მხარის პოზიცია ამ საკითხზე, როდესაც დაცვის მხარე ითხოვს გამართლებას. ის არ ელოდება გამამტყუნებელ განაჩენს, მაგრამ როდესაც მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე რომ უნდა გამოვიდეს გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელი უნდა შეარჩიოს უკვე პრობლემური არის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შერჩევის საკითხი, იმიტომ, რომ არ იცის დამოკიდებულება, არის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულებს მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ და ამბობენ, რომ მე არ ვიშრომებ, არის კატეგორია ადამიანების, რომლისთვისაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ჯობია თავისუფლების აღკვეთა. ეს ინფორმაცია როდესაც წინასწარ არ გაქვს ესეც შემბოჭველი გარემოება არის.*

პანდემიის გავლენა სასჯელების გამოყენებაზე;

პანდემიის გავლენის კუთხით ჩატარებული ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ სასჯელების გამოყენების საკითხზე კოვიდ19-ის გავრცელებას ფაქტობრივად პირდაპირი გავლენა არ ჰქონია ან ძალიან მცირედად. უმეტესწილად იკვეთება, რომ პანდემიამ გავლენა იქონია სასამრთლო განხილვის პროცედურულ ნაწილზე, განხილვებისა და პროცესების ჩატარების საკითხებზე. კვლევის დროს, სასჯელების გამოყენების პრაქტიკაზე პანდემიის მცირე გავლენის ძირითადად მიზეზად დასახელდა პენიტენციური სისტემის ფარგლებში

დაავადების გავრცელების დაბალი მაცვენებელი და სამედიცინო კუთხით კარგად მართული პროცესები.

- ***მოსამართლე:*** *კოვიდ19 შეიძლება ყოფილიყო შემაკავებელი ფაქტორი ზოგიერთი სასჯელის სახის გამოყენებისას [მაგ., საზ. სასარგებლო შრომა - ვნიშნავდით, მაგრამ ვიცოდით რომ გადავადება გახდებოდა საჭირო]. მე არ ვთვლი, რომ კოვიდმა ქართულ მართლმსაჯულებაზე დიდად ნეგატიურად იმოქმედა. ჩვენ რომ ისე ვყოფილიყავით, როგორც ეს ამერიკაში და ინგლისში იყო - მოსამართლეები არ დადიოდნენ სასამართლოში, წსს-ზე არ მოჰყავდათ ბრალდებულები, მაშინ კი ბატონო, მაგრამ ჩვენთან ამას გლობალური გავლენა არ ჰქონია.*

- ***მოსამართლე:*** *მე ვფიქრობ, შეიძლება მოახდინა გავლენა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემცირების კუთხით. ერთი იმიტომ, რომ თავისუფლების აღკვეთაში პირის ყოფნა მეტი საფრთხის შემცველია როგორც თვითონ ამ პირის, ასევე იქ მყოფი სხვა პირებისთვისაც, მეორე პანდემიის დროს თავისუფლების აღკვეთაში ყოფნა უფრო მძიმე პირობებად იქნა მიჩნეული ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში თავისუფლების აღკვეთაში ყოფნა. ალბათ ეს მაინც პაემანების შეზღუდვებს და ამ საკითხებს უკავშირდება.*
  ეს ყველაფერი ვფიქრობ, რომ პანდემიის დროს იქნა მხედველობაში მიღებული. შეიძლება პირდაპირ არ უფიქრია ვიღაცას ასე, მაგრამ მაინც მე ვფიქრობ გავლენა ამ ყველაფერმა მოახდინა.
  ასევე ალბათ იმანაც მოახდინა, რომ არასაპატიმრო სასჯელების აღსრულება შეჩერდა და გადავადდა. მაგალითად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება არ ხდებოდა და რაღაც პერიოდის შემდეგ დაიწყო აღსრულება. თუ არ ვცდები პირობითი მსჯავრის დროსაც მისვლა და დაფიქსირებაც რაღაც პერიოდი შეჩერდა.
  ყველაფერზე მოახდინა ამან გავლენა. ვფიქრობ ჩემ შემთხვევაშიც ასე იყო და სხვებზეც ალბათ ასე იქნებოდა. თავისუფლების აღკვეთის შეფარდება ნაკლებად სასურველი იყო ასეთ ვითარებაში ვიდრე სხვა სასჯელების.

- ***მოსამართლე:*** *პანდემიის დროს ზოგადად საქმის განხილვის მაჩვენებელი იყო ძალიან დაბალი, რადგან ჩვენ ვცდილობდით მხოლოდ ისეთი საქმეები განგვეხილა რომელიც რაღაც ვადებთან იყო დაკავშირებული. არის რაღაც საქმეები, რომელსაც დისტანციურ რეჟიმში ვერ ჩაატარებ, მაგალითად ნაფიცი მსაჯულების შერჩევა და ა.შ.*
  მაგრამ ასე ცალსახად პანდემიას დაუკავშირო სასჯელის საკითხი და იმის გამო რომ პანდემიაა ციხეში არ გაუშვა ადამიანი, ჩემ პრაქტიკაში ასეთი რამე არ ყოფილა.
  ყველა დროს იყო ერთი და იგივე მიდგომა.

- ***მოსამართლე:*** *ამ პერიოდშიც, ჩემი მხრიდან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა მინიმალური იყო, განსაკუთრებულ შემთხვევებში მხოლოდ. ამიტომ*

არსებითად არ შეცვლილა ჩემი სტატისტიკა ამ პერიოდში. კოვიდის გამო განსხვავებული გადაწყვეტილებები არ მიმიღია. თუმცა ამ პერიოდში ძალიან იყო შემცირებული საპროცესო შეთანხმებები. ახლა ბევრად უფრო მეტია საპროცესო შეთანხმებები.

აღსანიშნავია ის საკითხი, რომ რამდენიმე მოსამართლის მხრიდან აღინიშნა პანდემიის ირიბი გავლენის შესახებ სასჯელების დანიშვნის პროცესზე და ეს დაკავშირებული იყო მსჯავრდებულ პირებთან პირისპირ შეხვედრის შესაძლებლობასთან. რადგანაც პანდემიის პერიოდში უმეტესად სასამრთლო სხდომები დისტანციურ რეჟიმში ტარდებოდა მოსამართლეები მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას პირისპირ შეხვედროდნენ მსჯავრდებულებს, პირისპირ მოესმინათ მათი პოზიცია, დაკვირვებოდნენ მათ ემოციებს და სხეულის ენას. შესაბამისად რამდენიმე ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ამ გარემოებამ გარკვეული სირთულეები გააჩინა სასამრთლოს მიერ სასჯელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებისა და არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოკვეთილი სხვა საკითხები

კვლევის პროცესში როგორც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით გამოიკვეთა ისეთი საჭიროებები, როგორიცაა: მოსამართლეთა ერთიანი სადისკუსიო პლატფორმის საჭიროება, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და გაუმჯობესების მიზნით; მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფების საჭიროება, პროფესიათა შორის მოსაზრებებისა და პოზიციების ურთიერთგაცვლისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით; მოსამართლეთა ინფორმირების საჭიროება კრიმინოლოგიური და სხვა სახის სტატისტიკური ინფორმაციის, არსებული პოლიტიკის, სფეროში არსებული სიახლეებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ; საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარების მიზნით დამატებითი საგანმანათლებლო აქტივობების საჭიროება.

- ***მოსამართლე:*** ამ საკითხებზე დიდ გავლენას ახდენს ინდივიდუალური მოსამართლის გაძლიერება და დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლეები სისტემაში, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების დროს იხელმძღვანელებს მხოლოდ კანონით და საკუთარი სინდისით. ესეთი სიტემა, იმასთან ერთად რაზეც ვისაუბრეთ უფრო კარგ გარემოს შექმნის იმისთვის, რომ ალტერნატიული სასჯელები უფრო აქტიურად გამოიყენებოდეს.

- ***მოსამართლე:*** *მე მაგალითად ძალიან მაინტერესებს ბავშვების ციხეების ნახვა. სადისკუსიო შეხვედრები, პრაქტიკის გაზიარების საშუალება რომ იყოს საინტერესო იქნება. ძალიან განსხვავებული შეხედულებები იქნება და საინტერესო იქნება.*
  სხვათაშორის პრობაციის ბიურომ რომ გააკეთოს ერთი ანგარიში და დააგზავნოს სასამართლოებში, დონორებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ ამას. მაგალითად

ყოველწლიური ანგარიში გამზადდეს, სადაც მაგალითად აღწერილი იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის და სხვა არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცესის შესახებ ინფორმაცია, რა აქტივობებში ჩაერთნენ მსჯავრდებულები, თუნდაც როგორც აღსრულდა სასჯელი, რა ტიპის დასაქმების ადგილები იყო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემთხვევაში, რამდენად იყო მზაობა მსჯავრდებულების მხრიდან, განმეორებითი დანაშაული თუ იყო და სხვა.

“ ***მოსამართლე:*** *მე ვფიქრობ, რა თქმა უნდა იქნება ძალიან კარგი თუ იქნება დისკუსიის პლატფორმა. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე გეტყვით ერთს. საქალაქო სასამრთლოში ვმუშაობ დიდი ხანია, მქონდა გამოცდილება, როდესაც ვმუშაობდი რეგიონში. ამ პერიოდმა დამანახა, თუ რამდენად დიდია თბილისი გამოცდილება. უფრო მრავალფეროვანი, სიღრმისეული და აქედან გამომდინარე ხშირია, რომ თბილისი მოსამართლეები ვეხმარებით რეგიონების მოსამართლეებს გამოცდილების გაზიარებაში, თუმცა ეს ხდება ინდივიდუალურად, პიროვნული ურთიერთობის დონეზე. არ უნდა იყოს ვფიქრობ ამ ფორმით, უნდა იყოს ჩემი აზრით შეხვედრები და დისკუსიები. ბევრჯერ ყოფილა, რომ გვითქვამს აქ პრობლემა არაა კანონის განმარტების და ჩვენი გამოცდილებაც მოგვიყვანია, თითქოს რაღაც ხსნა იყო იმ მოსამართლისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება. ესე არის მათ შორის ნაფიცი მსაჯულების მიმართულებით, უფრო მეტი გვაქვს გამოცდილება. ფაქტიურად თბილისი ადგენს პრაქტიკას ამასთან მიმართებაში და ეს ხდება მხოლოდ ინდივიდუალურად მეგობრობის, პირადი ნაცნობობის და ა.შ. ხარჯზე.*
რა თქმა უნდა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, ჩვენი კოლეგის პრაქტიკის გაზიარება იქნება, აკადემიური ცოდნის გაზიარება იქნება, თუ რაიმე ინფორმაცია რაც შეიძლება დაგვეხმაროს კონკრეტული საკითხის სწორად გადაწყვეტაში, ძალიან დაგვეხმარება. ეს ვფიქრობ პერმანენტულად უნდა გრძელდებოდეს და რაც უფრო ხშირი იქნება კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება და ზოგადად აისახება შედეგებზეც.

“ ***მოსამართლე:*** *დიდი სიამოვნებით მოვისმენდი კოლეგების გამოცდილებას, მაგრამ ასევე, დიდი სიამოვნებით მოვისმენდი ჰოლანდიელი მოსამართლეების გამოცდილებას. ბევრი უცხოელი ექსპერტი გვყავს და ბევრ თემაზე ჩაუტარებიათ ტრენინგი, მაგრამ არასდროს - სასჯელებზე. ინგლისში კვლევაც კი არსებობს, ახდენს თუ არა წვიმიანი ამინდი სასჯელი ჩადენაზე გავლენას. ამდენად, დიდი სიამოვნებით მოვისმენდი იმ ქვეყნის მოსამართლეების გამოცდილებას - რას კითხულობენ, რას აქცევენ ყურადღებას - სადაც წარმატებულია სისტემა.*

“ ***მოსამართლე:*** *დისკუსიის ნაკლებობა ჩვენ არ გვაქვს, უბრალოდ საკითხია, რამდენად ეფექტურია. იუსტიციის სკოლაში ტარდება პერიოდულად ტრენინგები სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და ეს არის პლატფორმა, სადაც მოსამართლეები ვაზიარებთ გამოცდილებას, მაგრამ იქ გაჟღერებული საკითხები არსად ჯამდება და არ აქვს მას რეკომენდაციის სახე.*

თუ მოხდა ისე, რომ იმ 15-20 კაცში ვერ მოხვდი და ეს პერიოდულია, არაფერი იცი იმ საკითხზე, ეს ცუდია. ამიტომ კარგი იქნება, წერილობითად ტრენერმა მოსამართლემ შეაჯამოს და ტრენინგზე გაჟღერებული საკითხები წერილობით მიაწოდოს სხვებს. ეს ძალიან კარგია და ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, განისაზღვრა იმ რეკომენდაციათა ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების, ასევე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, დადებითად აისახება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე. წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება კვლევის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას და ამასთან, გათვალისწინებულია, როგორც მეორეული წყაროები, ისე თავად რესპოდენტთა მიერ მოწოდებული რეკომენდაციები.

<u>რეკომენდაციები არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის</u>

- გადაიხედოს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩანაწერები;
- გაფართოვდეს მოსამართლის დისკრეცია აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებაში
- გაფართოვდეს და შემოღებული იქნას ახალი აღკვეთის ღონისძიების სახეები
- მოსამართლეს მიეცეს საშუალება გამოიყენოს დამატებითი ღონისძიებები და შეზღუდვები, როგორც ძირითადი აღკვეთის ღონისძიება;
- შეიცვალოს აღკვეთის ღონისძიების სახის - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ მარეგულირებელი ნორმები და მოიხსნას სასჯელსა და დანაშაულის კატეგორიაზე დამოკიდებულება
- გირაოს თანხასთან დაკავშირებით არსებული ჩანაწერი შეიცვალოს და ამოღებული იყოს გირაოს მინიმალური ოდენობის განმსაზღვრელი თანხა
- გადაიხედოს პირადი თავდებობის მარეგულირებელი ნორმები
- გადაიხედოს საქართველოს პროკურატურის რეკომენდაციები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთების შესახებ
- საქართველოს პროკურატურაში გადაიხედოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა გენდერულ ჭრილში
- აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით
- გაუმჯობესდეს ბავშვთა დაცვისა და სოციალური კეთილდღეობის სერვისები და მომსახურებები;

რეკომენდაციები არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის

- გადაიხედოს არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩანაწერები;
- შემცირდეს და მოიხსნას შეზღუდვები არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებასთან მიმართებაში;
- გადაიხედოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სანქციები;
- სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სანქციებში გაიზარდოს არასაპატიმრო სასჯელთა წილი;
- გაფართოვდეს სასჯელების სახეები;
- გადაიხედოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მარეგულირებელი ნორმები;
- გაფართოვდეს მოსამართლის დისკრეცია სასჯელებთან მიმართებაში;
- გაფართოვდეს მოსამართლის დისკრეცია პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან მიმართებაში;
- გაფართოვდეს მოსამართლის დისკრეცია სანქციის მინიმუმზე ნაკლები სასჯელის დანიშვნასთან მიმართებაში;
- გაუმჯობესდეს კოორდინაცია სასამრთლო სისტემასა და სასჯელაღსრულების სისტემას შორის;
- მოსამართლეებს პროაქტიულად მიეწოდოთ ინფორმაცია სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მექანიზმების, პროგრამების, სერვისების, მომსახურებების მიმდინარე ოპერაციებისა და დაგეგმილი სიახლეების შესახებ;
- შემუშავდეს ინდივიდუალურ საქმეებზე სასჯელის აღსრულების მიმდინარე პროცესის შესახებ ინფომრაციის გაცვლის მექანიზმები;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ნაწილში შემუშავდეს ინდივიდუალური საკოორდინაციო მექანიზმი სასამრთლო სისტემასა და სასჯელაღსრულების სისტემას შორის;
- შეიქმნას სპეციალური მექანიზმი, რომელიც მოსამართლეებს მისცემს საშუალებას ადგილზე გაეცნონ პენიტენციურ და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებას;
- მოსამართლეს მიეცეს საშუალება, საჭიროების შემთხვევაში სასჯელის დანიშვნამდე გაიგოს მსჯავრდებულის პოზიცია კონკრეტულ სასჯელებთან მიმართებაში;
- არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით დაიგეგმოს სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;

<u>ზოგადი რეკომენდაციები</u>

- არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და არასაპატიმრო სასჯელთა შეფარდების საკითხებზე შეიქმნას მოსამართლეთა ერთიანი დისკუსიის პლატფორმა;
- არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და არასაპატიმრო სასჯელთა შეფარდების საკითხებზე შეიქმნას მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფი

სასამართლო სისტემას, პროკურატურის, ადვოკატთა კორპუსისა და სასჯელაღსრულების სისტემის მონაწილეობით;

- გაიზარდოს მოსამართლეთა ინფორმირებულობა და წვდომა მიმდინარე კრიმინოლოგიურ კვლევებთან, სტატისტიკურ მონაცემებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებთან და მიმდინარე სამეცნიერო სიახლეებთან.
- საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით დაიგეგმოს გრძელვადიანი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებისა და არასაპატიმრო სასჯელთა შეფარდების საკითხებზე.